F293/3 № 12
12993
Библиотека ... при ЦК ...
ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 1 ივლისი 1917 წ.

ერთობა

ფასი 10 კაპ.

„თანამედროვე აზრის“ გაგრძელება.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—20 მ., ნახევარი წლით—11 მან., 3 თვით 6 მან. ერთი თვით 2.40 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—80 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს.-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 85 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 85

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ **პარტიული სტამბა.** პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

პირველ ივლისს, 11 საათზე, ძიმითის წმ. კვირიკის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულის ხონის გიმნაზიელის

გარისა (გორია) გიტოს ძის

ზამზონიას

სულის მოსახსენებლათ.

მწუხარებით გულ-მოკლულნი მშობლები: გერმანე და ნადეჟდა გოგიტიძეები, ბებია ნინა გოგიტიძისა და ანუშკა ქადიეიშვილი, ბიძა ალექსანდრე და ბიცოლა ნინო ქადიეიშვილები, და თეკლე დოლიძისა, აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ და მეგობართ უდროოთ გარდაცვალებას

პატარა გივისას

დაკრძალვა დღეს, 1 ივლისს, ოზურგეთის ქალაქის სასაფლაოზე.

ღრმათ დამწუხრებული ბაბილინა ზგუბურიშვილისა გულითად მადლობას უცხადებს ყველა იმ პირთ, ვინაც წერილით, დეპეშით და პირადათ სამძიმარი და თანაგრძნობა გამოუცხადა მას მისის საყვარელის დის

მარინე იორაიშვილის

უდროოთ გარდაცვალების გამო.

1008

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი

მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით. საქალაქო არჩევნების საქმეთა შესახებ მდივანი ცნობებს იძლევა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

დღეს, 1 ივლისს, საღამოს 7 საათზე

მეოთხე რაიონულ კოლექტივის კლუბის დარბაზში

(ლორის მელიქოვის ქ., ქალების პირველი გიმნაზია)

შესდგება მეოთხე რაიონის რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის წევრთა

საერთო კრება

დღის წესრიგი: 1) წარმომადგენლების არჩევა ტფილისის კომიტეტში და 2) მორიგი კითხვები. ამხანაგებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

მეოთხე რაიონული კოლექტივი.

რ. ს.-დ. მ. პ. კვირას, 2 ივლისს მართავს

ინტერნაციონალურ საღამოს

თავის კლუბის ფონდის გასაძლიერებლათ

1) ლექცია რუსულად და ქართულად. 2) სალიტერატურო განყოფილება. 3) საკონცერტო განყოფილება.

მისამართი: ქუდელნის ქუჩა № 3, მეექვსე სავაჟო გიმნაზიაში.

ბილეთები იყიდება აქვე საღ. 5—7 ს. ◆ პირველი სამილიციო კომისია.

მერვე სამილიციო უბანში

მეორე კომერციულ სასწავლებელში არსებობს რ. ს. დ. მ. პ. მეორე პოდრაიონის ბიურო, გონჩარნი ქუჩა № 38. ღიაა მუდამ დღე საღამოს 10 საათამდე. აქვე შეიძლება ახალი წევრების მიღება და იყიდება ბროშიურები—ტფილისის და საოლქო კომიტეტის გამოცემანი, არსებობს სამკითხველო, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს ყველა ამხანაგებმა.

თავმჯდომარე გ. თევდორაშვილი.

ამიერ კავკასიის ბანკი

ტფილისი ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5 ტელ. № 5—26.

დაიწყებს თავის მოქმედებას 3 ივლისს 1917 წელს.

2—1

აუკციონი.

ტფილისის ქალაქის ლომბარდი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 2 ივლისს, დილის 10 საათზე, ლომბარდის შენობაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ვადა გასული დაგირავებული საგნები, რომლებიც შესდგება ძვირფასი ლითონეულისა და ქვებისაგან, ლითონის საგნებისა, საკერავი მანქანებისა, ნოხებისა, ტყავეულისა, ტანსაცმელისა და საერთოთ ყოველგვარი მოძრავი საქონლისა.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქვენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვიქტორიის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზლის ქუჩა, № 19.

ქ. ქუთაისში.

ექიმი გ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ქუთაისში

ექიმი **ვალერიან ლორთქიფანიძე**

იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი. პუშკინის ქუჩა, ციტუშინსკის სახლში.

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს საღოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, საზ. ავადმყოფისა. ტელეფონი № 5—77.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ს. საათამდე

სტუდენტი

ამზადებს ყველა სასწავლებლისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ხარისხის და წოდებაზე. ვერა, ყაზბეგის ქუჩა № 5. 6—6

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულათ	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულათ	10 „
3. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
4. „ „ „ ქართ.	5 „
5. ძირს სოც. დემ. ბრაკეს რუს.	20 „
6. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულათ	20 „
7. [illegible] წიგნაკი ქართულათ	20 „
8. საყოველთაო საარჩ. უფლება რუს.	15 „
9. ოთხი ძმა ქართულათ	35 „
10. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
11. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
12. აგრარულ პროგრ. კრიტიკა რუს.	15 „
13. შრომა და კაპიტალი ქართულათ	35 „

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. რა უნდათ სოც. დემოკრ. რუს.	20 „
2. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
3. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართულათ.	
4. ს. დ. პ. პროგრ. სომხურათ და თათრულათ.	
5. დამფუძნებელი კრება თათრულათ.	

ტფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

ტფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

დამარცხებულთა ბანაკში.

ნაციონალისტთა ბლოკი არ სცხრება. ის გლეხთა ყრილობაზე სამარცხვინოთ დამარცხდა. და აი ახლა ბლოკის მომხრე ორგანოები ირაზმებიან და გლეხთა ყრილობას და მის ცენტრს სახელს უტეხენ.

აქ პირველ რიგში დგას დაშნაკცუტიუნის პარტია და მისი გაზეთი „ორიზონი“. სწორედ დაშნაკცაკანებს გარშემო იკრიბებიან სოციალისტ რევოლიუციონერები და ფედერალისტები. მერე რას წარმოადგენს ბლოკის მეთაური პარტია?

დაშნაკცუტიუნი მუდამ გარეშე იდგა რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობისაგან. მართალია 1905 წელს ის იძულებული იყო ანგარიში გაეწია რუსეთის რევოლიუციისათვის, მაშინ ხომ ყველა რევოლიუციონერ სამოსელში იკაზმებოდა! მარა დადგა რეაქცია. დაშნაკცუტიუნი 1905 წ. დეკემბერშივე გამოეთიშა რევოლიუციას და გადაიბარგა რეაქციონერთა ბანაკში. ეს განსაკუთრებით ცხადი შეიქნა ომიანობის ხანაში. ამ დროს დაშნაკცუტიუნი მთავრობის სახელით მოგვევლინა, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის წყალობით მან ამნისტია მიიღო და თავისი შოვინისტური საქმიანობა გააძლიერა. რუსეთის რევოლიუციამ დაამხო მეფის ტახტი, ძირი გამოუთხარა იმ პოლიტიკას, რასაც ვორონცოვ-დაშკოვები და სხვა ცნობილი რეაქციონერები აწარმოებდნენ. და აი დაშნაკცუტიუნიც კვლავ წითელ სამოსელში იკაზმება, რომ სომხის მშრომელი ხალხი გაიყოლიოს. ამ პარტიის სოციალისტობა რასაკვირველია არავის სწამს. არ სწამს ეს სომხის ბურჟუაზიას, რომელიც ამ პარტიას თავისათ რაცხს და თავისი მიზნისათვის იყენებს. წარმოიდგინეთ დაშნაკელთა „სოციალისტობა“ არც სოციალისტ-რევოლიუციონერებმა ირწმუნეს და თავის კონფერენციაზე მას შუბლზე არა-სოციალისტური იარლიკი მიაკერეს. გლეხთა ყრილობამ ხომ მას სავსებით ახადა პირბადე. ისინი არაფერს დაერიდნენ, რომ სოციალდემოკრატია დაემარცხებინათ, მისი ძალა და გავლენა დაემხოთ. აი ერთი ასეთი პროვოკაციული გამოსვლა!

როცა ყრილობაზე გლეხთა დიდმა უმრავლესობამ თავმჯდომარეთ კავკასიის რევოლიუციის ცნობილი მეთაური ნოე ჟორდანია წამოაყენა, რომელსაც მხარს უჭერდა აგრეთვე თათრის გლეხობა, დაშნაკელებმა იმ მიზნით, რომ გაეთიშათ ქართველი და მუსულმანი გლეხები, თავმჯდომარეთ დეპუტატი ჯაფაროვი დაასახელეს. მარა პროვოკაციამ ვერ გასჭრა. მუსულმანმა გლეხებმა კბილები ადვილათ გაუსინჯეს დაშნაკელთა პროვოკატორებს და მათი ოინები ჩაფუშეს. შოვინისტებმა მოიმკეს ის, რაც დასთესეს. აგრარულ საკითხში მათი უძლურება სავსებით გამოაშკარავდა.

დაშნაკელებს გვერდში ამოუდგა სომხის პლუტოკრატიის ორგანო „კავკაზსკოე სლოვო“, რომელიც უკანასკნელ დროს სოციალისტ-რევოლიუციონერებს ეარშიყება. ეს ადვილი ასახსნელია. თუ კი სოციალისტ-რევოლიუციონერათ ჩაითვლება ქალაქის თავის მოადგილე თ. არღუთინსკი, რა დააშავეს ლოლუხანოვებმა და მ. ბერბერიანებმა?

„კავკაზსკოე სლოვო“ მანდატების გაყალბებას შეუდგა. მან ხელზე დაიხვია სამანდატო კომისიის განცხადება, რომლის დიდი უმრავლესობა ბლოკს ეკუთვნოდა. კომისია ითხოვდა აგრარული რეზოლიუციისთვის კენჭის ყრის გადიდებას. ეს ყრილობის ჩაშლას უდრიდა. გლეხობა სოფლებისაკენ ეშურებოდა. ხოლო თუ სახეში მიიღებთ იმ მუდმივ აყალმაყალს, რასაც დაშნაკელები იწვევდენ, აშკარაა, ვერც ორშაბათს შესძლებდა ყრილობა აგრარული საკითხის საბოლოო განხილვას, ვინაიდან ბლოკი დარწმუნებული თავის დამარცხებაში ყოველი ძალ-ღონით ცდილობდა ყრილობის ჩაფუშვას. უმრავლესობამ ეს არ მოისურვა და ბლოკს ოინებს ფარდა ახადა. მოხდა კენჭის ყრა კარებში გასვლით, სადაც დელეგატები თავის მანდატებს აძლევდენ. აქ ნათლათ გამოჩნდა ბლოკის სისუსტე. სოციალდემოკრატიულ რეზოლიუციას ხმა მისცა 573 კაცმა (აქედან განსაზღვრული იყო 510 მანდატი), ხოლო სოციალისტ-რევოლიუციონერთა რეზოლიუციას 296 დელეგატმა (აქედან განსაზღვრული იყო 270 მანდატი) დავუჯეროთ ერთ წუთით, რომ ყველა განუსაზღვრელი მანდატი არ იყო სწორი, ამ შემთხვევაშიც გამოდის 510 ხმა 276-ის წინააღმდეგ. რაც შეეხება ცენტრის არჩევნებს, ის ხომ არავითარ უთანხმოებას არ იწვევდა და ერთხმათ დამტკიცდა. მაშ რით აიხსნება „კავკაზსკოე სლოვო“-ს ასეთი უტიფარი გამოსვლა ყრილობის წინააღმდეგ? მხოლოდ მით, რომ ის მუდამ დემოკრატიას ებრძოდა და ერთა შორის შუღლის გაღვივებას ლამობდა, ეს ჩვენ ვიხილეთ აჭარულთა საქმეში. ახლაც პლუტოკრატიის ორგანო ცდილობს წყლის ამღვრევას და ამ გზით სოციალდემოკრატიის დაუძლურებას. ფუჭი ოცნებაა.

ხალხმა ჩინებულათ გაიგო პროვოკატორთა ოინები და ის შესაფერათ დააფასებს დაშნაკელთა და „კავკაზსკოე სლოვოს“ გამოსვლას. შოვინისტები და პლუტოკრატიის დამცველნი ვერავის მოატყუებენ.

რევოლიუციის დაფასება.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ სოციალდემოკრატიული ფრაქციათა შორის უკვე დიდი ხანია არსებული უთანხმოება უფრო გააღრმავა და ეს ორი მიმდინარეობა ერთიმეორის საწინააღმდეგოთ დაირაზმა. ბოლშევიკები ახლა მთლიან სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას გამოეყვნენ, საკუთარი კავშირი შეადგინეს და უკანასკნელები სრულიად დამოუკიდებლათ მოქმედებენ.

ეს ცოტაა—მათ მენშევიკური მიმდინარეობა წმინდა წვრილ ბურჟუაზიულ მიმდინარეობათ გამოაცხადეს და მას რევოლიუციონურ პროლეტარიატისადმი ღალატს წამებენ. ერთი სიტყვით მენშევიკური მიმდინარეობას მარქსისტულ მოძრაობის სახელს ართმევენ და მას წვრილ ბურჟუაზიის სახელით ნათლავენ.

ეჭვს გარეშეა ბოლშევიკების ასეთი მოქმედება, მათი ასეთი საქმიანობა შედეგია რევოლიუციონურ მოძრაობის თავისებურ დაფასებისა. მათ რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობა, როგორც 1905 წელს, ისე ახლა ჯეროვნათ ვერ დააფასეს, მისი ნამდვილი მამოძრავებელი ძალები ვერ შეიმცნეს, რევოლიუციური კლასების ძალთა განწყობილებაზე გადაჭარბებული წარმოდგენა იქონიეს და ისინი უტოპიზმის უფსკრულში გადაჩეხნენ. თავისთავად საგულისხმოა რევოლიუციონური მოძრაობის შემცდარათ დაფასებამ გამოიწვია ყალბი ტაქტიური მოქმედება და ბოლშევიზმი ბლანკიზმ-ანარქიზმათ გადაიქცა. ბოლშევიზმში ანარქისტულმა მიმდინარეობის გაბატონებამ კონტრ-რევოლიუციონური ელემენტების ამოძრავებას ხელი შეუწყო და ბოლშევიკების გარშემო მრავალმა არა სამედო პირებმა მოუყარეს თავი და რევოლიუციის წინააღმდეგ მოქმედება დაიწყეს.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. რევოლიუციის ყალბი დაფასება—მუდამ და ყოველთვის რევოლიუციონურ ძალებს ერთიმეორეს აშორებს, რევოლიუციონური ძალების ორგანიზაციულათ ამოძრავების მაგიერ სრული დეზორგანიზაცია გაბატონდა და მით რევოლიუციონური კლასების გათიშვას ნიადაგი მოუმზადა. ამის დასამტკიცებელი ფაქტები ერთობ მრავალია, ამას აშკარად ღაღადებს ბოლშევიკების სხვადასხვა ქალაქებში ანარქისტული გამოსვლები, რომლის გარშემო მრავალი კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები თავიანთ „საგმირო“ საქმეებს აწყობენ.

მაგრამ ეს ყველა ისე საწუხარო არ არის როგორც ის, რომ ბოლშევიკები თავიანთ მოქმედებას ნამდვილ მარქსისტულ მოქმედებათ სთვლიან და მენშევიკებს კი ანტი მარქსისტულ მოქმედებას სწამებენ. სწორი მარქსიზმი მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურ თუ პოლიტიკურ მოვლენების სწორ დაფასებაში მდგომარეობს და ვინც სოციალურ-ეკონომიურ თუ რევოლიუციონურ მოვლენებს მარქსის მეთოდის მიხედვით არ აფასებს—სწორეთ ის ღალატობს მასსას და შორდება მარქსიზმის ნიადაგს.

ბოლშევიკებმა მთელი ქვეყანა გამოაყრუეს, რომ ისინი—სწორ მარქსისტულ ნიადაგზე დგანან და მენშევიკები წვრილ ბურჟუაზიულ კლასების ფერხულში ჩაერიენ და ბურჟუა-

საერთაშორისო ომი

დასავლეთის ასპარეზზე—ავსტრიის ფრონტზე, სტანისლავოვ-ბოგოროდჩანის მიმართულებით რუსის ჯარმა იერიშების მიტანა დაიწყო და მტრის ფრონტი გაარღვია. მან 27 ივნისს ქალაქი გალიჩი დაიკავა და ზოგიერთა ჯარების ნაწილი მდ. დნესტრის მარცხენა ნაპირას გადავიდა. ბოგოროდჩინის ფრონტიდან დაძრული ჯარი მდ. ლომნიცას შესართავს მიუახლოვდა და სოფ. ბლუდნიკა და ბაბინა დაიკავეს. ამ რაიონებში ბრძოლის დროს რუსის ჯარმა ტყვეთ წამოიყვანა 10,000 ჯარისკაცი, 150 აფიცერი და ხელთ იგდო 80 ზარბაზანი და მრავალი სამხედრო მასალა. რუსეთის ჯარის დასახელებულ რაიონებში წინ წაწევა მედგრათ ემუქრება ქ. ლვოვს და ამ გამაგრებულ ქალაქს ხიფათს უმზადებს.

კავკასიისა და რუმინიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

საფრანგეთ გერმანიის ფრონტზე, მორტომახა და „304" მაღლობის გარშემო გერმანელებმა საარტილერიო სროლა გააცხოველეს. საარტილერიო სროლა გაცხოველდა აგრეთვე ავრიკურის რაიონში, აქ გერმანელები გაფთრებული იერიშების მიტანას განაგრძობენ

იტალია ავსტრიის ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა.

ზიის კუდებათ გადაიქცნენო. მაგრამ მათი ასეთი ბრალდება სამართლიანი არ გამოდგა და რევოლიუციონური კლასები თავიანთ კლასობრივი ინსტიქტით მენშევიკურ მიმდინარეობას ემორჩილებიან. თვით დასავლეთ ევროპის ცნობილი თეორეტიკოსები, როგორიც არის კარლ კაუცკი ლენინის და მის მიმდევრების პოლიტიკას გმობს და მათ მოქმედებას არ იწონებს. იგი სხვათა შორის ამბობს, რომ ამ ჟამათ პროლეტარიატი სოციალურ რევოლიუციას არ ახდენს, რასაც ასე ხმა მაღლივ გაჰკივიან რუსეთის ბოლშევიკები, არამედ იგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციას, რომლის დროსაც პროლეტარიატის ინტერესები სხვა დემოკრატიულ ჯგუფების ინტერესებს ეთანხმება. ამიტომაც კაუცკი ყველა რევოლიუციონურ კლასებისა და დემოკრატიის გაერთიანებულ და შეთანხმებულ მოქმედებას მოითხოვს.

ამ საერთო ნიადაგის მეოხებით—ამბობს კაუცკი—სოციალისტები სამინისტროში შევიდენ და ამ გზით ცდილობენ რევოლიუციის განმტკიცება გაღრმავებას. ცნობილი თეორეტიკი სხვაფრივაც არ იზიარებს ლენინისა და მისი მიმდევრების შეხედულებას, განსაკუთრებით მათი დასავლეთ ევროპაში სოციალურ რევოლიუციის მოხდენის შესახებ და მათ ამ საკითხში სრულიადაც არ ეთანხმება.

მაგრამ ბოლშევიკები თავისას განაგრძობენ და მენშევიკებს ინტერნაციონალისტების სახელსართმევენ. ნამდვილათ კი თვით ბოლშევიკები ობიექტიური პირობების მარქსისტულათ აწონ-დაწონას მოშორდენ და მთელი მათი „მარქსიზმი" უტოპია-ანარქიზმის სამეფოში გადავიდა. ობიექტიური პირობების საწარმოვო ძალთა დაფასება იმათვის მეტი სიტყვებით გადაიქცა და უკანასკნელები წმინდა ბლანკიზმის გზას დაადგენ.

ბლანკისტობა კი რუსეთის რევოლიუციას ისეთსავე საფრთხეს უმზადებს, როგორიც მან მოუმზადა საფრანგეთის რევოლიუციას და კონტრ რევოლიუციონური ძალების დარაზმვას ხელს უწყობენ.

მაგრამ სანუგეშებელი ერთი რამ დარჩა,—ფართო დემოკრატიული მასა რევოლიუციონური ორგანოების გარშემო თავს იყრიან, თანდათან ორგანიზაციულათ კავშირდებიან და სწორ მენშევიკურ გზას ადგებიან. ბოლშევიკები ჰაერში დაკიდებულები რჩებიან და მასის სწორ რევოლიუციონურ ინსტიქტს თავისი გააქვს.

გერმანიის სოც. დემ. უმცირესობა.

„ვპერიოდი" შემდეგს სწერს: ამას წინეთ ჩვენ ვსწერდით შეიდემანისა და გერმანიის სოც. დემოკრატიის უმრავლესობის ზოგიერთ წარმომადგენლების შესახებ, თუ როგორ უცქერიან ისინი ომისა და ზავის საკითხს. მაშინ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მათი შეხედულება არ ეთანხმება იმ პოზიციას, რომელიც ამ საკითხებში რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის უმრავლესობას და ორგანიზაციულათ შეკავშირებულ რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატს უჭირავს. იმ გერმანელ სოციალ-დემოკრატების აზრი კი, რომლებიც შეიდემანს და მის კომპანიას არ ეთანხმებოდა—ხელმწიფის სამხედრო ცენზურის წყალობით ჩვენამდის არ აღწევდა. ამ ჟამათ სტოკჰოლმში იმყოფებიან გერმანიის სოც. დემ. უმცირესობის წარმომადგენლები—ჰაზე, კაუცკი და ბერნშტეინი, რომელნიც ინტერნაციონალის ტრადიციებისა და გერმანიის—მილიტარიზმის პოლიტიკის ჭეშმარიტ დამცველებათ დარჩნენ. ამ სახით, ჩვენ საშუალება გვეძლევა ამ ჟამათ გავეცნოთ მათ თვალსაზრისს მათი აზრი. კაუცკიმ და ბერნშტეინმა გადაჭრით განაცხადეს, რომ ისინი შეიდემანს არ ეთანხმებიან. ამასთანავე გამოთქვეს თავიანთი დამოკიდებულება რუსეთის სოციალისტებისადმი. მათი აზრით, „რუსეთის სოციალისტურმა პარტიებმა ამ ჟამათ მიზნათ რევოლიუციის განმტკიცება უნდა დაისახონ. აქეთ უნდა იქნას მიპყრობილი შეკავშირებული პროლეტარიატის მთელი ენერგია. უნდა თავიდან აიცილონ ყველა ის დაბრკოლებები, რომლებიც შეასუსტებენ რევოლიუციონურ ძალთა შეკავშირებულად და შეთანხმებით მუშაობას. ამიტომ, მათი აზრით, სოციალისტების სამინისტროში შესვლა „აუცილებელი" იყო. ისინი სავსებით ეთანხმებიან ამხ. წერეთლისა და აღმასრ. კომიტეტის სხვა წევრთა აზრს, რომ პროლეტარიატის მიერ მთავრობის ხელში ჩაგდება უაზრობაა, ვინაიდან პროლეტარიატი საკმარისად შეკავშირებული არ არის ამისთვის და არც ეკონომიური პირობებია მომწიფებული. სოციალისტების მიერ სამინისტროში მონაწილეობის მიღება კი კონტრ-რევოლიუციის საფრთხეს ასუსტებს.

ქ. კაუცკი და ბერნშტეინი აფრთხილებენ რუსეთის ზოგიერთ სოციალისტებს, რომლებიც ხშირათ შეცდომით დიდ იმედებს ამყარებენ თითქოს გერმანიაში შეუძლებელი იყოს რევოლიუციის მოხდენა. წინააღმდეგ ლენინელთა მტკიცებისა კაუცკი და ბერნშტეინი აღნიშნავენ, რომ გერმანიის ს.-დ. უმცირესობა ჯერ კიდევ ძლიერ სუსტ ძალას წარმოადგენენ და საზოგადოთ, ევროპის პროლეტარიატის მდგომარეობა სულ სხვაა, ვინემ რუსეთის.

ომის ლიკვიდაციის საკითხში, როგორც ისინი ამბობენ, ანგარიში გასაწევია ის მოვლენა, რომ დასავლეთ ევროპაში და განსაკუთრებით გერმანიაში სოციალისტები ან მხარს უჭერენ თავიანთ მთავრობებს, ანდა მცირე რიცხოვან ოპოზიციას შეადგენენ. როგორც ვხედავთ, კაუცკი მშვენივრათ ერკვევა რევოლიუციონური რუსეთის საქმეებში უკეთესად, ვინემ ჩვენი შინაური სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ამაოდ იმოწმებენ მარქსის სახელს. მარქსის სწავლის მოძღვრების საუკეთესო მცოდნეს კაუცკის ასეთმა აზრმა არ შეიძლება ყველა ჩვენგანში სიხარულის გრძნობა არ გამოიწვიოს. კაუცკის კარგათ ესმის, რომ ამ ჟამათ ჩვენ ვიმყოფებით არა სოციალური რევოლიუციის ხანაში, რასაც ყოველდღე ჩაგვჩიჩინებენ „ბოლშევიკები" და რასაც ვერაფრით ვერ გვიმტკიცებენ, არამედ—ვიმყოფებით ბურჟუაზიულ—დემოკრატიული რევოლიუციის ხანაში, რომელშიაც პროლეტარიატის ინტერესები სხვა დემოკრატიული ელემენტების ინტერესებს ეთანხმება და მოქმედებათა ერთიანობას მოითხოვს. კაუცკის ესმის, რომ პროლეტარიატის ინტერესების „გაყიდვით" კი არ არის ჩვენი ამხანაგების სამინისტროში შესვლა გამოწვეული, არამედ რევოლიუციონური აუცილებლობამ აიძულა ისინი შესულიყვნენ კოალიციურ სამინისტროში. შემდეგ კაუცკი გაფრთხილებას იძლევა, რომ უდიდესი შეცდომა იქნებოდა ევროპის სოციალური რევოლიუციის მოლოდინში გვემუშავა, რომ ჩვენი მუშაობა ამის თანახმად გვეწარმოებინა. მისი აზრით პროლეტარიატის ინტერესი და არსებული მდგომარეობის გათვალისწინება მოითხოვენ ზავის სასარგებლოდ ბრძოლის წარმოების ტაქტიკას, რაზედაც სხვა შესაძლებლობის დამყარებაც შეიძლება. ეს კი ის ტაქტიკაა, გაზეთის თქმით, რომელსაც მენშევიკები აწარმოებენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან ერთად. „ბოლშევიკები" კი ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ჭეშმარიტი სოციალ დემოკრატები და „ინტერნაციონალისტები".

ჩვენ დავინახეთ, რომ ისეთი ნათელი, ჭეშმარიტი აზრების მატარებელი პიროვნება როგორიცაა კაუცკი, ინტერნაციონალის საუკეთესო რაზმი—გერმანიის პროლეტარიატის უმცირესობა—ჩვენთანაა, ჩვენს ტაქტიკას იზიარებენ. „ბოლშევიკების" მხარეზე კი—ანარქისტები და ისეთი სოციალ დემოკრატები არიან, რომლებიც გუშინ გაჩნდენ ასეთებით. კითხვა იბადება:

ვინ არიან ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტები?

პრესა.

„სარევოლიუციო" პარტიის ორგანო—„სახალხო ფურცელი" კვლავ გლეხთა ყრილობას უბრუნდება. ყალბი მანდატები, გლეხების ნაცვლათ ყრილობაზე ს. დ. პროპაგანდისტების მონაწილეობა, კერძო მესაკუთრე გლეხების სოციალ-ფედერალისტების წინააღმდეგ დარაზმვა, ვერაგი სტოლიპინის პროგრესისტათ გამოყვანა—და ბოლოს, ყაზახებისა და გუჩკოვისადმი სოც. დემ. მიერ ხელის გაწოდება და სხ., აი ის „მძიმე არტილერია", რომელიც მან ჩვენს წინააღმდეგ გამოიტანა. მოვუსმინოთ გაზეთს:

„გლეხთა დეპუტატებში იცნობდით ს. დ. პროპაგანდისტებს, რომელთაც არავითარი ობიექტივიზმი არ აინტერესებდა და მარტო პარტიული ჟინი ალაპარაკებდა... სულ დაივიწყეს (სოც. დემოკრ.), რომ სოციალისტები იყვნენ და გაშმაგებით უკრავდნენ ტაშს, როცა „ბობოლა" ვერცხლის ქამარ-ხანჯლით შემოსილ გლეხისგან გაიგონებდნენ „ჩვენ გვიყვარს ჩვენი საკუთრება და არავის არ დავუთმობთ მასო". აქ აშკარათ მეტყველებდა მათი, (ე. ი. გლეხთა) პირადი ინტერესი, რომელსაც ისინი ხალხის ინტერესზე ზევით აყენებდნენ... ვერაგი სტოლიპინი, რომლის სამარცხვინო ძეგლის აფეთქება ინდომა რევოლიუციონურმა ხალხმა, ეს სტოლიპინიც კი გამოიყვანეს შორს მჭვრეტ „პროგრესისტათ", რომელმაც წინსვლას ბოლო მოუღო და „თემის" წინააღმდეგ მიმართა საშინელი კანონი"...

რამდენი სიტყვაა, იმდენი სიყალბეა ამ ჩვენდამი მომართულ „ხელის ხელ საგოგმანებ მარგალიტებში". გავარჩიოთ:

სოც. დემოკრ. პროპაგანდისტი ისეთი პიროვნება გახდა „სახალხოსთვის", როგორიც „ნოვოე ვრემიასთვის" ყოველი პროგრესისტი—„ჟიდი" იყო.

გაიმართებოდა რუსეთში რაიმე ყრილობა, სადაც პროგრესის მომხრე ხალხი შეიყრიდა თავს—„ნოვოე ვრემია" ამბობდა: „ჟიდების" ყრილობააო.

დაიბეჭდებოდა რომელიმე გაზეთში არა შავრაზმული რამე—„ნოვოე ვრემია" იტყოდა: „ჟიდმა" დაწერაო და სხ. ამით ის სახელს უტეხდა ყოველგვარ არა შავრაზმულ აზრს და მოქმედებას. სოც. დემოკრ. პროპაგანდისტებიც ერთნაირი „ჟიდები" გახდენ „სახალხო გაზეთისთვის". მას სურს გლეხთა ყრილობას სახელი გაუტეხოს, რადგან მისი მონაწილენი ფედერალისტებს არ მიემხრნენ. გაზეთი სწერს: ეს გლეხთა ყრილობა კი არა—პროპაგანდისტები, გერმანული ენის მასწავლებლები იყვნენო. მერე რა არის აქ დასაძრახისი? სოც. დემ. პროპაგანდისტი, აგრეთვე გერმანული ენის მასწავლებელიც ხალხში მუშაობენ და თუ მას გლეხი აირჩევს, ნდობას გამოუცხადებს, გლეხების წარმომადგენლებათ არ ჩაითვლებიან? რატომ სახავს ასე უვიცათ ჩვენს გლეხს „სახალხო"? რატომ ამ ხნის განმავლობაში ვერ გაიგო გლეხმა და არ მიემხრო „სოციალისტ" ფედერალისტთა პარტია? უვიცია გლეხი არა?!.

შემდეგ, თუ ჩვენმა მომხრე გლეხმა პირი დაიბანა, თმა დაივარცხნა, ახალი ჩოხა-წაღა ჩაიცვა, „ვერცხლის ქამარ-ხანჯლით" შეიმოსა, ასეთი გლეხი არ შეიძლება სოციალისტი იყოს გაზეთის აზრით. მაშასადამე, თუ ჩვენს მხარეზეა გლეხი,—ის უსათუოთ დედისშობილა ან ძონძებში უნდა დადიოდეს. ამის შემდეგ განა საეჭვოა ვინმესთვის, რომ „სახალხო გაზეთი" აძლევს სულიერ საზრდოს ისეთ უვიც მიმდევრებს, რომელთა შესახებ ჩვენს გაზეთში გუშინ შემდეგი იყო მოთხრობილი:

„აი შედის სამი ახალგაზრდა ფედერალისტკა ქალი ერთ ღარიბ მუშის ოჯახში.

— თქვენ რომელ პარტიას ეკუთვნით?

— სოც. დემოკრატიულს—უპასუხებენ.

თქვენ სადაური დემოკრატები ხართ,—გულში წყალი გქვთ"...

აი „სახალხოს" მსჯელობის „საუცხოვო" ნიმუში! სტოლიპინის შესახებ თემის დარღვევის საქმეში მხოლოდ აღნიშნეს ჩვენმა მოსარჩლეებმა მისი „მოღვაწეობა" ამ დარგში,—არც მეტი, არც ნაკლები! თქვენთვის ხელსაყრელია ვერაგი სტოლიპინის მომხრეთ ჩვენი გამოყვანა, არა?..

ამის შემდეგ რა ფასი აქვს „სახალხოს" შემდეგ სიტყვებს:

„ყაზახებს გაუწოდეს ხელი. გუჩკოვსაც და სოც. დემოკრატებსაც დიდი იმედი აქვთ ამ ყაზახებისა".

ნათქვამია, ქაღალდი ყველაფერს იტანსო და, როგორც ხედავთ, „სახალხო ფურცლის" ქაღალდიც იტანს...

* * *

სამაგიეროთ, ივ. პ. ჩიქვიანი ასე აგვიწერს „კავ. სლ." გლეხთა ყრილობის ამბავს:

„ყრილობაზე გამოირკვა, თუ ვის ემხრობიან ქართველი და სომეხი გლეხები. ქართველი გლეხები სოციალ-დემოკრატიას მიყვებიან, სომხის—დაშნაკცელების პარტიას. ყრილობაზე ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ფედერალისტებს მხარს არ უჭერს გლეხთა მასსა. ქართველ ფედერალისტების მომხრე 10 კაცზე ნაკლები აღმოჩნდა, ამდენივე იყვნენ სომეხ სოც. დემოკრატების მომხრე გლეხები. ქართველ გლეხთა მასსის კავშირი სოც. დემ. პარტიასთან სულ სხვაა, ვინემ სომეხ გლეხთა—დაშნაკცელებთან. ქართველი გლეხები რამდენიმე ათი წელია შეგნებულ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწევიან და პარტიებში მონაწილეობას იღებენ. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ქართველ გლეხებში მაგრად გაიდგა ფესვები და შექმნა მათში ძლიერი ორგანიზაცია. ქართველი გლეხი შეეჩვია პარტიულ დისციპლინას (წესრიგს). ეს ძველი პარტიული გამოცდილება მთელი ყრილობის მუშაობას ეტყობოდა. ქართველი დელეგატები ცოტას ღელავდენ და ლაპარაკობდენ. მათი პირით ლაპარაკობდენ და მოქმედებდენ მათი გამოცდილი ბელადები—ნოე ჟორდანია, ნიკო ელიავა და ნოე რამიშვილი.

„სომხის გლეხობა მხოლოდ ახლა გამოდის პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე და იწყებს პარტიულ ცხოვრებას, რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში ის უსიტყვოდ, უპროტესტოდ იტანდა ყოველგვარ გაჭირვებას და ექსპლოატაციას (ყვლეფას). წიგნი და გაზეთი ძნელათ იკაფავდა გზას სომეხთა სოფლებში. იქ არ იყო არც პოლიტიკური, არც პარტიული ცხოვრება. ეს იყო ეკონომიურათ და პოლიტიკურათ დაბეჩავებული მასსა. ამიტომ სომეხ გლეხ დელეგატებს არ ჰქონდათ პარტიული სიდინჯე. საერთო კრებებზე ვიწროობას, უზრუნველობას გრძნობდენ და თავს იკავებდენ. მაგრამ სომხური სექციის სხდომებზე აშკარათ სჩანდა ყოველგვარი უდისციპლინობა ხშირათ აწყვეტინებდენ ლაპარაკს ორატორს, ყველას სურდა ლაპარაკი, თავმჯდომარეს არ ემორჩილებოდენ და არც ყურს უგდებდენ, თავიანთი წვრილმანი და ხშირად პირადი კითხვებით კრებას მუშაობას უშლიდენ და სხ.".

აი დაშნაკცელების მომხრე გლეხები, რაც ჩვენი ფედერალისტებისთვის იდეალია!

* * *

არც „საქართველომ" დატოვა უყურადღებოთ გლეხთა ყრილობა. ის „სახალხო"-ს ეხმარება მანდატების (რწმუნებათა) გაყალბებაში. სოფ. ტყვიავში, როგორც გაზეთი გადმოგვცემს, ასე მომხდარა არჩევნები. გორის კომისარიატს იქ წარმომადგენელი გაუგზავნია სამაზრო სასურსათო კომიტეტის წარმომადგენლების ასარჩევათ. ამ არჩევნების დროს გლეხთა ყრილობის დელეგატიც აურჩევიათ, აირჩიეთ მუშათა პარტიის წევრი, რომელიც გორიდან თფილისს წავა და თქვენს წარმომადგენლობას იკისრებსო, უთქვამთ გლეხებისთვის. გლეხებიც დასთანხმებიან და აურჩევიათ. გაზეთს ასეთი არჩევნები უკანონოთ მიაჩნია. რაში გამოიხატება უკანონობა? გლეხობა იცნობს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, ნდობას უცხადებს მას და ეს უკვირს „საქართველოს" იმიტომ, რომ მისთვის ეს ამბავი ხელ-საყრელი არ არის! დაბოლოს, გაზეთი შენიშნავს:

„დიახ, სოფელი უპატრონოთ არის და მას შველა უნდა... ბევრი უნდა ჩაგონება, ახსნა-განმარტება" და სხ..

ასე რომ, სოფელს „პატრონი" და „მშველელი" უნდა. აი იმის მაგალითიც, როცა „პატრონი" და „მშველელი" მიდის სოფლათ ჩვენს გაზეთის გუშინდელ ნომერში სწერია:

„18 ივნისს, დ. ბორჯომში მოხდა ბორჯომის საზოგადოების გლეხთა ყრილობა, რომელსაც უნდა აერჩია გლეხთა ყრილობაზე გასაგზავნი ორი დელეგატი. ამის გამო ხაშურიდან საგანგებოთ ჩამოსულიყო გიმნაზიის დირექტორი ბ. მდივანი, რომელმაც ილაპარაკა სოც.-ფედერალისტების სახელით. უპასუხებდენ სოც.-დემოკრატები. ბ. მდივანი ცდილობდა დაერწმუნებინა გლეხები, თითქო სოც. დემოკრატებს მათი გაღატაკება უნდათო. გლეხებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს და სოც.-დემოკრატების თანამოაზრე გლეხები აირჩიეს".

ცხადია, ამაოდ ღვრიან ოფლს ფედერალისტები და ეროვნული დემოკრატები. იქნება სოფელში „პატრონი" და „მშველელი" თუ არა—სულ ერთია: გლეხები ნდობას სოციალ-დემოკრატებს უცხადებენ!

* * *

„სახ. გაზეთში" დაბეჭდილია წერილი, რომელიც არა-კეთილსინდისიერების მხრით ამ გაზეთისათვისაც კი იშვიათად უნდა ჩაითვალოს. წერილი ეხება რეზოლიუციას მიწის საკითხის შესახებ, რომელიც მუშა და სალდ. დეპ. საბჭოთა ყრილობამ მიიღო. ავტორი თავის მკითხველებს პირდაპირ ეუბნება, ყრილობაზე სოც. რევოლიუციონერების რეზოლიუცია გასულაო.

„დეპეშათა სააგენტომ უპარტიო გულუბრყვილობით გვაუწყა: სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობამ მიიღო ჩერნოვის მიერ წამოყენებული რეზოლიუცია მიწის საკითხის შესახებო. მკითხველი დეპეშიდან დაინახავს, რომ ჩერნოვის რეზოლიუცია შეიცავს იმ თვალსაზრისს მიწის საკითხში, რომლის მომხრეც ჩვენში გამოდის ს.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია. ასეთია თვითონ ფაქტი, შემდეგ უნდა მის შეფასება".

ქვემოთ ავტორი არკვევს, როგორ უნდა მომხდარიყო ეს ასე,—როგორ მოხდა, რომ იმ ყრილობაზე, რომელზედაც უმრავლესობა სოც. დემოკრატია, უცბათ გაიმარჯვეს სოც.-რევოლიუციონერებმა და რომ მართლა სოც.-რევოლიუციონერების რეზოლიუცია გავიდა. ამაზე ავტორის წერილიდან არც ერთ მკითხველს არ დაებადება ეჭვი, რადგან ამას ავტორი გადაჭრით ამბობს, ავტორი პირდაპირ ამახინჯებს დეპეშის ტექსტს, რომელშიც ნათქვამია:

„სიტყვის დასასრულში ჩერნოვი თანხმობას აცხადებს ის რეზოლიუციაზე, რომლის მთავარი მუხლები ასეთია".

თუ „ჩერნოვი თანხმობას უცხადებს", მაშ არც სულ წმინდა სოც. რევოლიუციონერების რეზოლიუცია ყოფილა, რა თქმა უნდა. შეიძლება კამათი იმის შესახებ, თუ ამ რეზოლიუციაში ვის უფრო ბევრი დასთმო სოც.-დემ. თუ სოც.-რევ. მაგრამ პირდაპირი არა-კეთილსინდისიერებაა გადაწყვეტით თქმა, მიღებული რეზოლიუცია სოც.-რევოლ. არისო. აღმაშფოთებელი უფრო ის არის, რომ წერილი ხელმოწერილია შ. ნუცუბიძის მიერ. როგორც ამბობენ, ბ. ნუცუბიძე სამეცნიერო კარიერისთვის ემზადება და მომავალ წელს, როგორც პრივატ დოცენტი ლექციების კითხვას შეუდგება პეტროგრადის უნივერსიტეტში. ნუ თუ მისთანა არა-კეთილსინდისიერი წერილის წერის დროს მისი მეცნიერული სინდისი ჩუმათ იყო? ან იქნებ ბ. ნუცუბიძეს გონია, რომ კეთილ-სინდისიერება მხოლოდ სამეცნიერო თხზულებებშია საჭირო და გაზეთის წერილისთვის კი მეტი ბარგია?

* * *

დემაგოგია სუსტის იარაღია. ეს ჭეშმარიტება ზედ გამოჭრილია ქართველ ფედერალისტებზე. როგორც იცით, ნაციონალისტთა ბლოკი სასტიკათ დამარცხდა გლეხთა ყრილობაზე. და აი ახლა დაშნაკცელებთან და [illegible] ერთად ფედერალისტები ცდილობენ ყრილობის სახელის გატეხას და სოციალ დემოკრატიის წინააღმდ ყოველნაირ საშუალებას მიმართავენ.

„სახალხო ფურცელი" სწერს:

„სოციალისტები" (ე. ი. ჩვენ, მეპრ. თავგამოდებით ექომაგებიან კერძო საკუთრების შეურყევლობას გლეხთა შორის და მესაკუთრის ჟინის გაღიზიანებით ცდილობენ მომხრეთა და თანამგრძნობელთა გამრავლებას"-ო.

სოციალ-დემოკრატია მუდამ უარყოფდ ყოველგვარ უტოპიურ ჩხირკედელაობას. ჩვე კარგათ ვიცით, რომ გლეხობა იცავს კერძ საკუთრებას იმ ადგილებზე, რომელსაც ი თვითონ ფლობს.

ჩამოართვით მათ ეს ადგილ-მამული და ეჭვ გარეშეა გლეხთა შორის კონტრ-რევოლიუციონური მოძრაობა გაძლიერდება. სოციალისტ-რევოლიუციონერთა პროგრამის განხორციელებას, სწორეთ ასეთი შედეგი ექნებ თუმცა აქ თვით სოციალისტ-რევოლიუციონერებმა ხელი აიღეს ამ მუხლზე და საერთო თავისი პოზიციის უდიდესი ნაწილი დასთმე ჩვენ ვებრძვით მთელ რუსეთში თემის განმტკიცებას, ვინაიდან ეს საწარმოვო ძალთ განვითარებას აფერხებს და რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებას უკან მიაქანებს.

სწორეთ ამით აიხსნება, რომ სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ყრილ ზე სოციალისტ-რევოლიუციონერები ბული შეიქნენ ეცნათ ინდივიდუალური წათ-მფლობელობა. აგრეთვე მათ ცნეს, რომ მშრომელ ხალხს უნდა მიეცეს საშუალებ ისარგებლოს ადგილ მამულით იმ პირობი კი, რომ არ შეეფერხოს საწარმოვო ძალ განვითარება. სწორეთ ასეთია ჩვენი სურვილ ცხოვრებას თავისი გააქვს.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 28—30 ივნისი).

რუსის ჯარის ახალი გამარჯვება.

პეტროგრადი 27 ივნისს საღამოს 11 საა ზე დროებით მთავრობის კრებას აცნობა სა ხედრო მინისტრის ამხანაგმა იაკუბოვიჩმ რომ რუსეთის ჯარმა თავი ისახელა ახალ გამარჯვებით. როგორც მთავარი შტაბიდა იტყობინებიან რუსის ჯარი წინ მიიწევს, დიდი ბრძოლის შემდეგ აიღეს ქ. გალიჩი. წამო უყვანიათ მრავალი ტყვე და [illegible] დარჩ ნიათ 30 ზარბაზანი, მტერს სდევნიან. დაახლოვებითი გამოანგარიშებით გალიჩში ხელში ჩავარდნია რუსის ჯარს 200 ზარბაზანი.

შრომის მინისტრის მიმართვა რუსეთის ყველა მუშებისადმი.

პეტროგრადი. შრომის მინისტრმა მიმართა რუსეთის ყველა მუშებს: ამხანაგო მუშებო მოგმართავთ თქვენ კრიტიკულ მდგომარეობი დროს, რომელსაც რუსეთის რევოლიუცია ნიცდის. რაც დრო გადის ქარხნების წარმო ბა საშინლის სისწრაფით ეცემა, საჭირო ნოვაგე ნაკლები მზადდება. გლეხებს აღ აქვთ მრეწველობის ნაყოფი, მოსალოდნელ სასურსათო საკითხის უფრო გართულება ხალხის გაღატაკება. დროებითი მთავრობა გადასწყვიტა ყოველივე საშუალება იხმარო მეურნეობის ფეხზე დასაყენებლათ. მან სა ხელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარა ხალხის მეურნეობა. მრეწველობის საცენტრალო და ხელმძღვანელი ადგილობრივი ორგანოები საქარხნო სათათბიროები, განათება-გათბობის, ტრანსპორტის და სურსათის შესახებ ძირიანათ იცვლება, სადაც ფართო ასპარეზი ექნე მშრომელ კლასების ორგანიზაციათა წარმომადგენლებს. ასეთივე ნიადაგზე იქნება აშენებული სურსათის მიმწოდებელი რაიონული კომიტეტები. ახლავე მოქმედებას იწყებს თავრესი ეკონომიური კომიტეტი, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს ხალხის მეურნეობა ყოველ დარგს და დააყენოს ისეთ გზაზე, რო ლითაც შესაძლებელი იქნება მთელი ქვეყ საწარმოვო ძალთა გამოყენება. მაგრამ ე ნომიურ კომიტეტს მხოლოდ მაშინ შეუძ თავის მოვალეობის შესრულება უკეთუ თქ ამხანაგო მუშებო რამდენათაც შეგიძლ დახმარებას გაუწევთ მას. თქვენი შრომა ხ ბის სიმდიდრის ქვაკუთხედია. თქვენ შ მას შეუძლია მეურნეობის ფეხზე დაყენ მაშ მიმართეთ თქვენი ძალღონენი მკლ ბი, განკურნეთ [illegible] დაავადმყოფებულ ორთქლმავლები, და ვაგონები, მიეცით ყანას რაც შეიძლება მეტი ნახშირი, ლით და სხვა საჭირო ნივთები. თქვენი საყვედ ძველი რეჟიმის დროს თქვენი ეკონომი მდგომარეობის აუტანელ პირობების შე სამართლიანი იყო, თქვენ სრული უფლ გქონდათ თქვენი აღშფოთება გამოიწვია გარემოებას, რომ ომის დროს შეძლებულ კლასები ჯიბეს ისქელებდენ. (გაგრძელ ჯერ არ მოსულა).

მიწათმოქმედების და იუსტიციის მინისტრთა კანონპროექტი.

პეტროგრადი. მიწათმოქმედების და იუს ტიციის მინისტრებმა დროებით მთავრობა წარუდგინეს შემდეგი კანონპროექტი: რო დამფუძნებელ კრებას საშუალება მიეცეს მი განკარგულებაში იქნეს ყველა მიწები დრო ებითმა მთავრობამ დაადგინა: 1917 წლის რველ მარტიდან მიწებზე შესრულებული ტები, როგორიც მაგალითათ დაგირავება, დავა-გაყიდვა და სხვა უპირატესობას არ ლევს მის საერთო მიწის ფონდიდან გამ

ყოფათ. აიკრძალოს საყოველთაოთ ამ გვარ აქტების შემდეგში მიხედნა, გარდა ისეთ შემთხვევებისა, როცა ამის ნებას აძლევს ადგილობრივი სამეურნეო მიწების კომიტეტები და ამტკიცებს მიწათმოქმედების მინისტრი. ეს დადგენილება ხელს არ უშლის იმ აქტების დამტკიცებას, რომლებიც წინათ დაიწყეს.

კანონი ბინის ქირის შესახებ.

პეტროგრადი. იუსტიციის მინისტრმა პერევერზევმა დროებით მთავრობას დასამტკიცებლათ წარუდგინა კანონი იმის შესახებ თუ რამდენი შეუძლიათ სახლის პატრონებს ბინებზე ქირები მოუმატონ იმის დამიხედვით თუ სახლების შენახვა სხვა და სხვა ხარჯებმა რამდენათ მოიმატეს.

შეტევას მხარს უჭერენ.

მოსკოვი. მოხდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა შეერთებული კრება. კრებამ დაადგინა ხმარი დაუჭიროს შეტევას და დროებით მთავრობას, რომელიც ამ გზით მიდის.

დამფუძნებელ კრების საარჩევნო თათბირი.

პეტროგრადი. დამფუძნებელ კრების საარჩევნო თათბირმა დაადგინა მთელი ჩრდილო კავკასია ერთ საარჩევნო ოლქათ შეაერთოს. მიიღეს წინადადება თურქესტანი 4 საარჩევნო ოლქათ დაჰყონ: სამარყანდის, სემირეჩენსკის, ფერგანსკის და სირდარინსკის. დაადგინეს აირჩიონ კომისია დამფუძნებელ კრების საარჩევნო კანონის დამსჯელ ნაწილის შესადგენათ.

ფინლიანდიის სეიმი.

ჰელსინგფორსი. სეიმში წარმოადგინეს კანონის პროექტი, რომელიც შეიმუშავა ძირითად კანონების კომისიამ. ამ კანონის პირველი მუხლი ამბობს: ფინლიანდიის სეიმი ადგენს, ამტკიცებს და სისრულეში მოჰყავს ფინლიანდიის კანონები და წყვეტს ფინლიანდიის ყველა საქმეებს, რომლის გადაწყვეტის უფლება წინათ იმპერატორს და დიდ მთავარს ჰქონდა არსებულ კანონების ძალით. ეს კანონი არ ეხება საგარეო პოლიტიკის საქმეებს, სამხედრო კანონმდებლობას და მართვა გამგეობას. მუხლი მეორე: სეიმი იკრიბება მოუწვევლათ, თავის დროზე და თვითონ საზღვრავს სესიის დროს. სანამ ახალი წეს-წყობილება დამყარდებოდეს სეიმს უფლება აქვს დანიშნოს ახალი არჩევნები და დადგენილება გამოიტანოს სეიმის დათხოვნის შესახებ. მუხლი მესამე: სეიმი ნიშნავს ფინლიანდიის აღმასრულებელ მთავრობას. დროებით აღმასრულებელი მთავრობის უფლება ეკისრება ფინლიანდიის სენატის სამეურნეო დეპარტამენტს, რომლის წევრებს ნიშნავს და ითხოვს სეიმი.

სეიმმა მიიღო კანონპროექტი სეიმის უფლების შესახებ გადასინჯოს მთავრობის განკარგულებანი სამსახურის შესახებ. მიღებულ იქნა აგრეთვე რვა საათის სამუშაო დროის შემოღების შესახებ კანონპროექტი.

ერთი საათით წინ.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე მთელ რუსეთში საათის ისარი ერთი საათით წინ წასწიონ.

კიდევ ახალი გამარჯვება.

პეტროგრადი. დროებით მთავრობის 28 ივნისის კრებაზე სამხედრო მინისტრის ამხანაგმა იაკუბოვიჩმა აცნობა, რომ რუსის ჯარმა კვლავ გაიმარჯვა. აიღეს ქალაქი პალუში (?) სადაც მტერს არმიის შტაბი ჰქონდა, მრავალი ტყვე წამოიყვანეს.

არჩევნები მოსკოვში.

მოსკოვი. მოსკოვში ქალაქის არჩევნებზე ხმოსნებათ გავიდა 116 ს.-რევოლიუციონერი, ხალხის თავისუფლების პარტიის 34, მენშევიკი 24 და ბოლშევიკი 23.

ფინლიანდიის საქმეები.

ჰელსინგფორსი. ფინლიანდიის სენატის მთავარ უფლებათა კანონპროექტის რედაქცია არსებითათ არ განსხვავდება იმ ცნობილ კანონ-პროექტისაგან, რომელიც ფინლიანდიის სენატის უფლებათა გაფართოებას მოითხოვდა, ამ სახით კანონ-პროექტი გუშინ მეორეთ წაიკითხეს სეიმში. სეიმის სხდომა მთელი ღამე გაგრძელდა, დასრულდა დილის 7 საათზე. პროექტი მიიღეს ისეთი რედაქციით, სადაც ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი რუსეთის სუვერენულ უფლებებზე და რუსეთის ინტერესებზე. კანონი შეიცავს სიტყვა-სიტყვით იმ რეზოლიუციას, რომელიც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობამ მიიღო ფინლიანდიის დამოუკიდებლობის შესახებ — იმ განსხვავებით, რომ კანონში კიდევ უფრო ხაზგასმითაა აღნიშნული ფინლიანდიის დამოუკიდებლობა, კანონი არაფერს არ ამბობს გენერალ-გუბერნატორის, როგორც რუსეთის წარმომადგენელის მისი უფლება-დანიშნულების შესახებ. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ საერთაშორისო ხასიათის და სამხედრო საკითხების შესახებ ზოგიერთი ბუნდოვანი აზრები. კანონის დამახასიათებელ მხარეთ უნდა ჩაითვალოს აღმასრულებელ ძალის დროებით ახლანდელი სენატის სამეურნეო დეპარტამენტის დატოვება, ჰფიქრობენ, რომ ახლანდელი სენატი როგორც ნახევრათ ბურჟუაზიული თვითონ ვერ შეურიგდება ამ ახალ მდგომარეობას და სამსახურს თავს დაანებებს, მაშინ კი საჭირო დარჩება სოციალისტური სენატის შედგენა. როგორც ამბობენ—აზრათ აქვთ ახლავე სისრულეში მოიყვანონ ეს კანონი, დანიშნონ ახალი სენატი, რომელიც არავითარ დამოკიდებულებას არ დაიჭერს დროებით მთავრობასთან. სენატის წრეებში სეიმის გადაწყვეტილებას გულგრილათ შეხვდნენ: შვედების და სტაროფინების პარტიების წარმომადგენლებთ აქ ახალი არაფერი არ დაუნახავთ. მესამე წაკითხვის შემდეგ სენატის წევრებს სამსახურისთვის თავის დანებება მოუყვება. ამ ჟამად ფინლიანდიის დამოუკიდებლობას და აგრეთვე სხვა საკითხებს, რომლებიც შეეხებიან ფინლიანდიისა და რუსეთის უფლებრივ დამოკიდებულებას, არჩევს სეიმის [illegible] თათბირი პეტროგრადის დელეგაციის მონაწილეობით, რომელშიაც ჩხეიძეც იმყოფება. ასეთი კანონის მიღება სეიმის მიერ მოულოდნელი ამბავი გახდა როგორც რუსეთის დემოკრატიული ორგანიზაციებისა, ისე ფინლიანდიის ფართო საზოგადოებისათვის. ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებმა კანონპროექტის წინააღმდეგ ილაპარაკეს და კენჭის ყრის დროსაც წინააღმდეგ მისცეს ხმა.

სოციალისტების კონფერენცია.

სტოკჰოლმი. მოხდა რუსეთის დელეგატების თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გერმანიის დამოუკიდებელი სოც.-დემ. და ავსტრიის და უნგრეთის ს.-დ. პარტიის წარმომადგენლებმა. გამოირკვა, რომ გერმანიის დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიას მოსწონს რუსეთის პლატფორმა, რომელიც გამოცხადდა 12 აპრილს მოწოდებაში და თანხმაა კონფერენციაზე მონაწილეობისა. თათბირი გაიმართა აგრეთვე ბერნის კომისიასთან. ყველა ამ თათბირებს მეგობრული ხასიათი ჰქონდა. დელეგატებს კმაყოფილებით შეუძლიათ აღნიშნონ, რომ დაწყებული საქმე სასურველათ დამთავრდება. ახლო ხანში დელეგატების უმრავლესობა ლონდონს და პარიზს მიემგზავრება. შესაძლებელია, რომ სხვაც გაემგზავრონ.

სეიმის საკითხი.

ჰელსინგფორსი. სეიმის საკითხი დღეს გაარჩიეს შეერთებულ სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ ადგილობრივი რევოლიუციონური ორგანიზაციების პრეზიდიუმები, ფინლიანდიის სეიმის წარმომადგენლები და პეტროგრადის დელეგატები ჩხეიძის მეთაურობით. კამათს ცხარე ხასიათი ჰქონდა. ფინლიანდიის მხრით ახალი წინადადება იქნა წამოყენებული: ფინლიანდია თანხმაა მისცეს სესხი რუსეთს, თუ რომ, ჰელსინგფორსის დემოკრატიულ ორგანიზაციებს უფლება ექნებათ მის დახარჯვის საქმეში დროებით მთავრობას კონტროლი გაუწიონ. ეს წინადადება კრებამ ერთხმათ უარყო. დაბოლოს მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ის აზრია გამოთქმული, რომ ვინაიდან სეიმის საკითხს საერთაშორისო ხასიათი აქვს, უნდა გადაწყდეს ის დროებით მთავრობასთან შეთანხმებით სეიმმა. ამასთანავე გადაწყდა დაუყოვნებლივ გადაწყდეს ეს საკითხი. თათბირმა გამოსთქვა მთავრობის კომისიის შედგენის შესახებ, რომელიც გამოიმუშავებს ზომებს რაც შეიძლება შემცირებულ იქნას სესხის მოთხოვნილება ფინლიანდიაში.

ომის დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. 28 ივნისი. დასავლეთის ასპარეზზე, იეზუპოლში სტანისლავოვის—ბოგოროდჩანის მიმართულებით გენერალ კორნილოვის ჯარი მტრის უკან დადევნას განაგრძობს. 12 საათზე ჩვენმა ჯარმა გენერალ ჩერემისოვის ხელმძღვანელობით ქალაქი გალიჩი დაიკავა, და ჯარების წინა ნაწილი მდ. დნესტრზე გადავიდნენ. საღამოთ ჩვენმა ჯარმა მიაღწია მდ. ლომნიცის შესართავს და აქ სოფ. ბლუდნიკი და ბაბინი დაიჭირეს. ჩვენი ჯარის ის ნაწილი, რომელიც ბოგოროდჩანისა და ზოლოტვინის მხრიდან მტერს თავს ესხმოდნენ ლისოვეც-კოსმაჩის ხაზამდის მივიდა. ერთი დღის ბრძოლის განმავლობაში ტყვეთ წამოვიყვანეთ 2000 ჯარისკაცი და ხელთ ვიგდეთ 30 ზარბაზანი. 25—27 ივნისამდის ჩვენმა ჯარმა ტყვეთ წამოიყვანა 10 000 ჯარისკაცი, და 150 ოფიცერი; ხელთ ვიგდეთ 80 ზარბაზანი, რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი და მრავალი საომარი მასალა. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

კავკასიისა და რუმინიის ფრონტზე დროგამოშვებით სროლაა.

პეტროგრადი. 29 ივნისი. მდ. დნესტრისა და ლომნიცის რაიონში ბრძოლა კვლავ ჩვენ სასარგებლოთ მიმდინარეობს. აქ ჩვენმა ჯარმა დაიკავა ქალაქი პალუზა (?) ბოგოროდჩანის დასავლეთით მტერს იერიშები მოაქვს და ჩვენი წინსვლა შეაჩერა.

რუმინია-კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

პარიზი. 27 ივნისი. ფრუადმონის ფერმის დასავლეთით მტრის მოულოდნელი იერიშები მოვიგერიეთ. მორტომისა და „304" მაღლობის გარშემო საარტილერიო სროლა გაცხოველდა.

ლონდონი. 28 ივნისი. საფრანგეთის ფრონტზე, ნიეპორის მახლობლათ ჩვენი ჯარი მტრის სანგრებში შეიჭრნენ და მათ ზიანი მიაყენეს. მონში-ლე პრესა და ავრეკურის რაიონში მტრის გაძლიერებული იერიშები მოვიგერიეთ.

ქაღალდის და სხვა გაზეთის გამოსაცემ ხარჯების გაძვირების გამო 1 ივლისიდან ჩვენი გაზეთი ეღირება, როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ:

ცალკე ნომერი	—	10 კაპ.
ერთი თვით	—	2 მანეთი
სამი თვით	—	6 „
ექვსი თვით	—	11 „
ერთი წლით	--	20 „

პროვინციელ აგენტებს გაზეთი დაეთმობა ცალი 8 კაპ.

ახალი ამბები

მუშათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მომრიგებელ კომისიის 28 ივნისის სხდომაზე მოხდა შეთანხმება მუშებსა და ნავთის საწყობების პატრონთა შორის, მუშების მოთხოვნილებები დააკმაყოფილეს. საქმის გარჩევაში მონაწილეობას იღებდენ: მუშათა კომისიის წარმომადგენელი, ნავთის საწყობთა წარმომადგენლები და მუშები.

◆ **მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა** 28 ივნისის სხდომაზე დაადგინა: ჯარისკაცთა „არა კანონიერი" და კანონიერი ცოლები გათანასწორებულ იქნენ „პაიკის" მიღებაში. პოლიტიკურებისათვის ბორჯომისა და აბასთუმნის სანატორიები გადაეცეს თფილისის მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს საკუთრებაში სანატორიების დაჩქარებით მოსაწყობათ უნდა იქნას აღებული 35 ათასი მან. სესხი.

◆ **ორშაბათს**, 3 ივლისს დილის 11 საათზე ადგილობრივ საქალაქო სკოლის დარბაზში დანიშნულია, სენაკის მაზრის სახალხო მასწავლებელთა კრება. დღის წესრიგი: 1) კურსების მოწყობა; 2) სახალხო ინსპექტორების არჩევა, 3) საამხანაგო სასამართლო და სხ. სკოლის მზრუნველებს ვთხოვთ დაესწრონ კრებას განუყოფ. გამგეობის თავმჯდომარე ვასო ქობულია.

◆ **რევოლიუციონურ ჯარში.** კავკასიის მე-9 საარტილერიო დივიზიონის 1 ბატარეის ჯარისკაცთა და აფიცერთა საერთო კრებამ ერთხმათ დაგმო დეზერტირობა და დაადგინა, რომ იგი მზათაა ყოველ წუთში გავიდეს ბრძოლის ველზე მოპოვებულ თავისუფლების დასაცავათ.

◆ **სასოფლო სამეურნეო აღწერა.** უკვე შეუდგნენ სამზადისს, მოაწყვეს აღმწერლებისათვის კურსები და მალე დაიწყებენ სოფლათ სამეურნეო და სადგომ-მამულთ აღწერას. სასურველია გლეხებმა სწორი ცნობები მიაწოდონ აღმწერლებს.

◆ **თფილისის მეთორმეტე სამილიციო ნაწილის სასურსათო კომიტეტი**, როგორც ვიცით დიდუბის რაიონში არ მომხდარა სასურსათო კომიტეტის ჩვეულებრივი არჩევნები ისე როგორც დანარჩენ სამილიციო ნაწილში, მიტომ არის, რომ კომიტეტში, დაბუდებულან სხვადასხვა საეჭვო პირები და როგორც თვითონ მოესურვებათ ისე აწარმოებენ საქმეს. თუ სხვა უბნებში სასურსათო კომიტეტებმა თავის გარშემო ფართო მასა შემოიკრიბეს, აქ ამის მსგავსს ვერაფერს ნახავთ. საჭიროა მიექცეს ამას ყურადღება. უნდა ეხლავე გამოიძიონ საქმე და თავიდან მოიშორონ არა-მკითხენი.

◆ **მუშათა კომისია.** თფ. მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა გაუქმებულ იქნას მუშათა კომისია და ყველა მისი საქმეები გადაეცეს თვით საბჭოს.

◆ **ნოქართა პროფესიონალური კავშირის** საექსკურსიო კომისია მოუწოდებს ამხანაგ წევრებს მონაწილეობა მიიღონ ექსკურსიაში, რომელიც გაემგზავრება შიო მღვიმის მონასტერში შაბათს, 1 ივლისს, საღამოს 9 საათზე კავშირის ბინიდან (ალექსეევის ქუჩა № 7). ჩაწერა შეიძლება კავშირის კანტორაში. ექსკურსია დაბრუნდება უკან კვირას საღამოს.

◆ **ყალბი ფული.** დააპატიმრეს სპარსეთის ქვეშევრდომი სიმონ აკოფ ოღლი და ქუთ. გუბერნიის მცხოვრები ნიკ. დიმ. ხახალავა, რომლებსაც ბრალდებათ ყალბი ათი შაურიანების მოჭრა და ხალხში გავრცელება.

◆ **ახალი გაზეთი.** 29 ივნისს თფილისში გამოვიდა ნ. დუბროვკით ახალი გაზეთი „რესპუბლიკა".

◆ **მოხსენება.** დღეს, საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში შესდგება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს კრება. დღის წესრიგი: 1) მოხსენება სრულიად რუსეთის მუშ. და ჯარ. დეპუტატების საბჭოთა ყრილობის მუშაობის შესახებ; 2) 25 ივნისის მიტინგზე მომხდარი ამბები.

◆ **ჯიბგირი—კონდუქტორი.** ჩვენ გვატყობინებენ, რომ ყარსის მატარებელში ჯარისკაც აბაშაბალოვისათვის ჯიბე მოუჭრია ამავე მატარებლის კონდუქტორს. საჭიროა თვით ამხ. კონდუქტორებმა გაუწიონ ანგარიში ასეთ საზიზღარ მოვლენას.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს, 7 საათზე, პირველ ქალების გიმნაზიის შენობაში შესდგება მეორე რაიონის სოც.-დემ. პარტიის წევრთა საერთო კრება. ამხანაგებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

— კვირას, 2 ივლისს, დილის 11 საათზე, სასახლეში შესდგება კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის კრება. კრებაზე მოწვეულია პ. აზატიანი, გ. მახარაძე, ფარნიევი, ბოკდანოვი და ქლენტი იმ წევრების მაგიერ, რომლებიც დღეს თბილისში არ არიან.

პროვინციის ქრონიკა.

ნიგოითი. დღეს ყველამ კარგათ იცის რკინის გზის მატარებლით უბილეთოდ მიმოსვლა აკრძალულია, ამ დღეებში ბათომიდან მომავალ მატარებელს უბილეთოდ ჩამოყვა ს. ჩხაიძე, სადგურის მოადგილემ დაიჭირა და გაუგზავნა ადგილობრივ ნიგოითის კომისარს, კომისარის მოადგილემ გ. ს—მ ნაცვლად იმისა, რომ მატყუარა მგზავრისთვის შესაფერი სასჯელი მიეცა საქმე „სამიკიტნოში გადატანით" გათავდა, რაც არა სასურველ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

ს. მაიდანი. (სამეგრელო). 1916 წლის დეკემბრიდან ს. მაიდანში დაიწყო საქონლის ჭირი და დღესაც არ შეწყვეტილა. ჭირმა დიდი ზიანი მოუტანა ს. მაიდანს. აქ ზაფხულობით ისეთი წელი არ გავიდოს, რომ მდ. ცხენის წყალმა ს. მაიდანს [illegible] რამოდენიმე დესეტინა მიწა არ წაართვას. სოფელი უყურადღებოთ არის დარჩენილი.

ხაშ. აჯიკაბული. რევოლიუციის პირველ ხანებში აჯიკაბულის ტელეგრაფისტებმა ენერგიულათ დაიწყეს პარტიული მუშაობა, მხოლოდ ამ ბოლო დროს გული აიცრუეს. მას შემდეგ, რაც აქედან გადაიყვანეს რამოდენიმე მოწინავე, ჩვენ შორის კავშირი შეწყდა. კრებები ძალიან ძვირათ იმართება, ჩვენი პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარე შემთხვევით სარგებლობს და ისე იქცევა როგორც მოესურვება. ოთახების განაწილება ვერ ხდება კანონიერად. მალე მოხდება კრება და იმედია აქ ჩვენი ამხანაგები ფხიზლათ იმოქმედებენ.

არჩევნების წინ.

IV.

თანამედროვე ქალაქებს აქვთ საკუთარი ბიუჯეტი. აქვთ უფლება გადასახადების გაწერის და, რასაკვირველია, შეგროვების.

ქალაქის შემოსავალი მრავალნაირი არის, თფილისის ჩამოთვლა ეხლა შორს წაგვიყვანს. მთავარი წყარო, რომელიც ძველმა მთავრობამ სრულ უფლებაში გადასცა ქალაქებს, არის დასაფასებელი გადასახადი. კანონი საზღვრავს მხოლოდ ქონების საერთო ღირებულებაზე განსაზღვრულ პროცენტს, რომელიც საბჭოს უფლება აქვს გააწეროს სახლის პატრონებზე და შეაგროვოს.

კანონი ამ გადასახადის რაოდენობას საზღვრავს ათი პროცენტით უძრავი ქონების საერთო ღირებულებაზე.

დასაფასებელი გადასახადი [illegible] და თფილისის ქალაქის საბჭოსაც.

ამ რამდენიმე წლის წინათ ეს შემოსავალი წლიურად უდრიდა რვაასი ათას მანეთს.

თავისთავად იბადება კითხვა: ანაწილებდა გამგეობა ამ გადასახადს სამართლიანათ თუ არა?

ამ კითხვას ვრცლად გასცა პასუხი შარშან საბჭოს სხდომაზე ერთ დროს ხმოსნების უმრავლესობისაგან „მოვინიერებულმა" ველამბრის ხმოსანმა ბ-ნმა გალსტიანმა.

ამ სხდომაზე უბრალო კითხვა იყო გადასაწყვეტი.

„შინაური", „ნაცნობი", საოჯახო კითხვა! დასაფასებელ კომისიის წევრ ხმოსნებს ვადა გაუვიდათ და ისინი ხელმეორეთ უნდა აერჩიათ.

ასეთი კითხვები საბჭოში მუდამ მშვიდათ, წყნარათ და „მოხერხებულათ" წყდებოდა, მაგრამ ნათქვამია: „ციხე შიგნიდან ტყდებაო". გალსტიანმა საუცხოვოთ დაანგრია შიგნიდან ციხის კედლები.

მან აიღო სიტყვა და წამოუყენა საბჭოს უმრავლესობას ბრალდებები:

— თქვენ არ არჩევთ დიდხანთ კომისიის წევრების კანდიდატურას. ძველმა კომისიამ ათასნაირი დანაშაულობა ჩაიდინა. კომისიამ იაფათ დააფასა მდიდრების სახლები ან და სრულებითაც არ შეუფასებია.

ამ ხმოსანმა დაასახელა გვარები და ადრესები თფილისის პლუტოკრატიის იმ წარმომადგენლების, რომლებიც ათასნაირი ხრიკებით, ბოროტმოქმედებით თავს აღწევდნენ ამ გადასახადის დიდ ნაწილს.

საბჭოში ჯოჯოხეთის ღამე დადგა.

დაუწყეს ხმოსნებმა ერთმანეთის თავზედ ლაფის სხმა, არ ერიდებოდნენ არც „გალიორკას" არც პრესის წარმომადგენლებს.

ერთი სიტყვით ამ ღამემ გამოაშკარავა ქალაქის უსამართლო საქციელი ამ გადასახადის გაწერის საქმეში.

ნაცნობების სახლებს „ივიწყებდნენ"!

სამაგიეროთ მხოლოთ [illegible] შეიარაღებული თავისი [illegible] მოსამსახურეების სახით მიუძღვიდნენ სადმე ქალაქის განაპირა კუთხეში ვინმე ღარიბის სახლის დასანგრევათ.

ეს ფაქტია და არა უსაბუთო ბრალდება.

გარდა დასაფასებელი გადასახადისა ქალაქს აქვს შემოსავალი თავისი მიწებისაგან.

თბილისი მდიდარია მიწებით.

ამ მიწების ერთ ნაწილს მუშები იღებენ იჯარით, განაპირა ადგილებში აშენებენ ერთს ან ორ ოთახს და ამნაირათ ოცნებობენ გადასწყვიტონ ბინის საკითხი.

ქალაქის თვითმართველობაართმევს მიწაში განსაზღვრულ იჯარას, მაგრამ ხელმოკლე წვრილ მესაკუთრეებს ძლიერ ეძნელებათ იჯარის გასწორება.

როგორ ექცეოდა ამ შემთხვევაში მათ ქალაქის თვითმართველობა, სადაც „განათლებული" ხმოსნები ბატონობდნენ?

ბარბაროსულათ! გულცივათ! მოურიდებლათ!

ამის მაგალითები ბევრია, აუარებელი.

როგორ ეპყრობოდა ქალაქის მამები იმ ნედოიმჩიკებს პლუტოკრატებს, რომლებსაც მიუხედავათ აუარებელ შეძლებისა არ უნდოდათ ფულის დროზე გადახდა და ამ „ნედოიმჩიკების" გასასწორებელ ფულს საკომერციო და სასპეკულიაციო თანხათ ხმარობდნენ?

მეგობრულათ! მამაშვილურათ! შინაურულათ.

ამის დასამტკიცებლათ აღვნიშნოთ მხოლოდ ორი შემთხვევა.

მე დავასახელებ ორ ადამიანს, რომლებიც წარმომადგენლები არიან უკიდურესი მდგომარეობის, ცხოვრების მოპირდაპირე „პოლიუსებზე" დგანან.

ბენკლიანცის ქვრივი და მელიქაზარიანცი! პირველია უკიდურესათ ღატაკი, საბრალომ, შეალია მთელი თავისი ძალა შიმშილთან ბრძოლას.

მეორე გახლავთ ცნობილი მილიონერი რომლებმაც ვერის დაღმართზე გამოჭიმა დიდებული, რამოდენიმე მილიონათ ღირებული სახლი.

ბენკლიანცის ქვრივს მართებდა ქალაქის მიწის იჯარის ნედოიმკა სულ რამოდენიმე ათი მანეთი.

საბრალო ქვრივმა თხოვნა მისცა ქალაქის „მამებს" ან მაპატიეთ ან შემაძლებინეთ და ნაწილ-ნაწილობით გადამახდევინეთო.

ქალაქის „მამებმა" არზა თავის აგენტს გაუგზავნეს, რომელმაც ასე აწერა ქვრივის მდგომარეობა:

— „ქვრივი ბენკლიანცის ოთახი ნახევრათ დანგრეულია. მდებარეობს შორეულ ნაძალადევის მიყრუებულ ადგილზე. სახურავი დანგრეულია და წვიმისაგან შენობას სრულებით ვერ იცავს. ქვრივს სახლიდან არავითარი შემოსავალი არ აქვს და წვრილი ობლების შესანახათ მუშაობს თამბაქოს ფაბრიკაში. დილით რომ სამუშაოთ მიდის, ჩაკეტავს ხოლმე ბავშვებს სახლში და საჭმელს მოუტანს მაშინ როდესაც მუშაობის შემდეგ სახლში ბრუნდება. ამ დღეებში ფაბრიკაში ხელი დაიზიანა, შრომის ფასათ იღებს ექვს შაურს დღეში".

საერთოთ მიღებულია, აგენტები უბრალო „სპრავკებს" აძლევენ ქალაქის „მამებს, მაგრამ, როგორც ეტყობა ცხოვრების საშინელმა სურათმა გამომძიებელი აგენტი და მისი ამხანაგები აალელვა, რადგან გამოძიება ასეთი სიტყვებით თავდება:

— „ვთხოვ გამგეობას შეუმსუბუქოს მდგომარეობა ამ უბედურ ადამიანს. 16 ივლისი 1914 წელი".

მაგრამ ვერ გასჭრა ასეთმა მუდარამ.

საპატიო გრძნობა სიბრალულისა სძლია კლასიურმა სულის კვეთებამ.

გამგეობის წევრი ძალზე გააცხარა ასეთმა გამოძიებამ, 19 ივლისს ისევ უგზავნის აგენტს ქვრივის არზას შემდეგი რეზოლიუციით:

— „ვსთქვათ, ჩვენ ვაპატიეთ ვალი. მერე კი რა? გამგეობა საქველმოქმედო დაწესებულება არ არის. მომეცით დასკვნა იმის შესახებ, თუ როგორ მოვიქცეთ ვალის ასაღებათ. დავანგრიოთ შენობა თუ რა ვქნათ".

გამგეობის წევრი ამ რეზოლიუციით ეუბნებოდა თავის აგენტს:

— რა შენი საქმეა სხვის საქმეში ჩარევაო. ამის შემდეგ აგენტი ხელმეორეთ აცნობებს ქალაქის მამებს:

— „როდესაც მე ავუხსენი ბენკლიანცის ქვრივს საქმის მდგომარეობა და ვკითხე—რა გზით შეუძლიან ვალის გადახდა, იმან დუმილით მიპასუხა. უნდა მოვიქცეთ პირობის მიხედვით".

„მოწინავე" თვითმართველობა, „განათლებული ხმოსნები" და ეს მიწერ-მოწერა, დამახასიათებელი ნიმუშია იმისა, თუ როგორი „მეგობრები" ყავდა ღარიბ მესაკუთრეებს და მუშათა ხალხს ქალაქის საბჭოში.

მეორე სურათი:

ძველმა ქალაქის მოსამსახურემ მითხრა და დასამტკიცებელ საბუთებზედაც მიმითითა.

— „ქალაქის მამები დიდი ნებით გვაიძულებდნენ ნედოიმკის ყოველივე ზომებით შეკრებას. მელიქაზარიანცს „ნედოიმკათ" ერიცხებოდა რამდენიმე ათასი მანეთი, მაგრამ ჩვენ სალაპარაკოთაც არ გვეკარებოდა. ავიღე და დავადევი „სეკვესტრი" ბაღის და მიმოზების ქირებს. მეორე დღეს დამიძახეს გამგეობაში და მიმითითეს ჩემი მოუფიქრებელ ზომებზე, როგორ თუ მელიქაზარიანცის სახლებს „სეკ-

ივერიელი

ცესტრი" დაალევიო. ეს ამბავი პრესამაც აღნიშნა".

ხარჯების შეკრების საქმეში ქალაქის მამების თვალები, გაუმაძღარი თვალები მუდამ დატაკი ხალხის ჯიბისკენ იცქირებოდნენ.

ქუჩის უბრალო ჩექმების მწმენდელებიც არ დაუტოვებიათ. მათაც დაადვეს განსაზღვრული ბეგარა, რომელსაც თვიურათ შეაქვთ კასაში.

ამ მხრივ პლუტოკრატიის ძლიერ წახნილობამ სასაცილო ხასიათიც კი მიიღო.

ერთმა მილიონერმა ხმოსანმა, რომელსაც დიდი ქარვასლა აქვს შუაქალაქში გამოჭიმული, სადაც დღიურათ ათი ათასი კაცი დადის, ასეთი წინადადება მისცა ქალაქს:

— ჩემს სახლში გავაკეთებ კოხტა ფეხის ალაგებს და ვისაც დასჭირდება თითო შაურს გამოვართმევო.

ძველმა ხმოსნებმა ვერ შესძლეს გადასახადების სამართლიანათ გაწერა, მათ არ ქონდათ უნარი ნაყოფიერი და დიდებითი მუშაობით აღმოეჩინათ შემოსავლიანი წყაროები, მაგრამ ეს ისინი მუნიციპალური თვალით კი არა უბრალო ვაჭრუკანების თვალით უცქეროდენ, ეს კი ეწინააღმდეგებოდა ქალაქის მეურნეობის ინტერესებს.

ეს არის მიზეზი, რომ მომავალ საბჭოს ქალაქის ბიუჯეტი გადაეცემა მილიონიანი დეფიციტით.

დევნილი.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

ტყვიბული.

ტყვიბულის რაიონში 1200 დღიური მუშაა. აქედან პარტიის წევრათ ირიცხება 650 კაცი.

ს. დ. ორგანიზაცია 1905 წლიდან აქ არ არსებობდა. მხოლოდ იყო პატარა ჯგუფი, მაგრამ იგი არ სჩანდა. თებერვლის უკანასკნელ რიცხვიდან აქ უცებ მოეწყო ორგანიზაცია და გავლენაც მოიპოვა. ჩვენი ორგანიზაცია ენერგიულათ მუშაობს, თუმცა გვაკლია მომზადებული ხელმძღვანელი.

ხ. ჩიბათი.

ჩვენს საზოგადოებაში საზოგადოთ დიდია სოც. დემ. გავლენა, ყოველივე დაწესებულებებში გვყავს პარტიის წევრები. სხვა პარტიის ორგანიზაცია აქ არ არსებობს. სულ ოთხი სოფელია აქ. სოფელში ამორჩეული ჰყავთ პარტიის წევრებს შვიდი წევრებისაგან შემდგარი ხელმძღვანელი ბიურო. სოფლიდან იგზავნება საზოგადოების ცენტრში ერთი წარმომადგენელი ოც წევრზე ეს შეადგენს საზოგადოების კოლექტივს.

სასოფლო წევრთა კრება შაბათობითაა.

საზოგადო კოლექტივი იკრიბება კვირაობით. ჩვენი ორგანიზაციები თვალ-ყურს ადევნებენ აღმასრულებელ კომიტეტის მოქმედებას.

დღეს პარტიაში ირიცხება 250 წევრი.

ს. დ. ორგანიზაცია აქ არსებობდა რეაქციის დროსაც და გვყავდა 50 წევრი. საწევრო ფულები იკრიბება თავის დროზე და ინახება ს. ქ. კასაში.

ჩიბათის საზოგადოებაში გამოწერილია: 50 ცალი „ერთობა", „სოც.-დემ." 10, „ალიონი" 5, „პირველი ნაბიჯი" 6, „ეშმაკის მათრახი" 5, „ბორბა" 2.

მოწყობილია ს. დ. კლუბი და ახალ გაზრდათა წრე პარტიის ხელმძღვანელობით.

მკითხველთა წრეს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი ძალები.

ხაჩხური.

ს. დ. ორგანიზაციაში ჩაწერილია 160 წევრი. ორგანიზაცია 1906 წლის რეაქციამ მოსპო. განახლდა მხოლოდ რევოლიუციის პირველ დღეებში.

ს. დ. ორგანიზაცია, გარდა პარტიული მუშაობისა ხელმძღვანელობდა საზოგადოების გარდაქმნას. სოფლის კომიტეტებში გაიყვანა თავისი კანდიდატურა და თავის გავლენას დაუმორჩილა ამ მხრით ცხოვრება.

პარტიულ ლიტერატურას ჩვენი ორგანიზაცია თვითონ ავრცელებს.

ხშირათ მართავს საზოგადო კრებებს და რევოლიუციის მსვლელობას ხელს უწყობს.

დ. გძელიშვილი.

რევოლიუცია პროვინციაში

საგურამოს რაიონი. (დუშეთის მაზრა). 18 ივნისს საგურამოს კომისარის წინადადებით შესდგა შეერთებული კრება, საგურამოს რაიონის სავლეხო საბჭოთა წარმომადგენლებისა. დაესწრო 42 წარ. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია ამხ. გოლა გულბათაშვილი. კომისარმა აუხსნა და განუმარტა ხალხს შემდეგი საკითხები: მიწის საკითხი, ტყის საკითხი, და ფერშლის საკითხი. მიწის შესახებ გამოტანილ იქმნა შემდეგი განაჩენი: მიეცეს ერთი მეთედი ღალათ სიმინდიდან და პურიდან ისეთ დიდ მემამულეებს, მაგ. საგურამოში—ტარასელსკის და მუხრანშაურში—ხიმშიაშვილს, სათიბიდგან კი დღიურზე თითო მანეთი.

ისეთ კულტურულ დაწესებულებას და ჩვენში სინათლის შემტანს როგორიც მაგ. წინამძღვარიანთ სასოფლო სამეურნეო სკოლა და ქ. შ. წ. კ. გ. სკოლაა ილია ჭავჭავაძის სახელობაზე, მიეცეს მათ პურიდან ან სიმინდიდგან მეექვსედი და სათიბიდგან კი მეხუთედი.

ასეთივე გადასახადი უნდა გადაიხადონ სხვა საშუალო კლასთა მემამულეების სასარგებლოთ გლეხებმა.

რაც შეეხება წვრილ მესაკუთრეებს, ეს მიენდო მათ ამორჩეულ ხალხს და მათ უნდა მოაწესრიგონ საქმე ამის შესახებ.

ტყის შესახებ ასეთი რეზოლიუცია გამოიტანეს: ტყის მცველებს ირჩევს სოფლის საზოგადოება, მათი გამოყენება შეუძლია კომიტეტს, მათ ჯამაგირი ეძლევათ უწინდელი ტყის მცველებისა ანუ „ობიეზჩიკისა". კომიტეტი კანტროლს უწევს ტყის უფროს „ლესნიჩს" და მხოლოდ ამის შემდეგ შეიტანებენ ფულს ხაზინაში.—რაც შეეხება კერძო მემამულეების ტყის მცველებს, ისინი ჯამაგირს ღებულობენ ტყის შემოსავლიდან კომიტეტის განსაზღვრით. მემამულეს თავისი ტყით ნება აქვს თავისი ოჯახის საჭიროებისათვის უფასოთ ისარგებლოს. კერძო მემამულის ტყის შეშა საჟენი უნდა გაიყიდოს 4 მან. ისეთებზე, რომლებიც ტყეზე ახლოს ცხოვრობენ, მაგ. საგურამოელებს ეძლევათ 4 მ. საჟენი მაშინ, როდესაც ახატნელი იხდის 3 მ. და დავათელი კი 2 მ. ტყის მცველების ყოლა აუცილებელია, ნახშირის ორმოები სახაზინო ტყეებში მოსპობილ უნდა იქნას.

ჩვენი ფერშლის მოქმედება ვერ გვაკმაყოფილებს, ის ისეთ საქმეებს სჩადის, რაც არ შეშვენის განათლებულ კაცს და აგრეთვე სრულიად არ უწყობს ხელს ჩვენს მდგომარეობას. ბევრი მაგალითებია იმის, როცა ხსენებული ფერშალი საერთო საქმეს ხელს უშლის. ამიტომ კრებამ დაადგინა ბ. ფ. ტ. სამსახურიდან უნდა გადააყენონ. კრებამ აირჩია კომისია ახალი ფერშლის მოსაწვევათ.

საგურამოს კომისარი: ვანო ტატიშვილი. აღმასრულებელი კომიტეტის წევრები: პეტრო ბექური, ვანო ციაციშვილი და ვანო ოტაშვილი.

მუშათა ცხოვრება

თფილისი. როგორც ჩვენს პრესაში იყო აღნიშნული: 31 ივნისს სასტუმრო კლუბების და რესტორნების მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირს საშუალოთ გამოეყვნენ მზარეულები. ერთის მხრით ამ არა სასიამოვნო შემთხვევამ მუშათა საბჭოში უკმაყოფილებაც კი გამოიწვია. შეგნებული მუშები იტყვიან, რომ ეს ასე არ უნდა მომხდარიყო, ჩვენც ასე ვამბობთ. ერთ ქარხანაში მომუშავე მუშები თუ გინდ ისინი სხვადასხვა დარგის მუშები არიან და სხვადასხვა საქმეს აკეთებენ, ერთათ უნდა იყვნენ შეკავშირებულნი, ერთ ძალას უნდა წარმოადგენდნენ და ერთნაირათ უნდა იყოს ყველას ინტერესები დაცული. მკითხველებს ვცოდნინებთ, რომ მზარეულები სხვა პროფესიის მუშებზე უფრო ძნელ შრომას ეწევიან და ყველაზე ნაკლებ შრომის ქირას იღებენ. მაგრამ დღეს დადგა დრო მოვიპოვეთ თავისუფლება სიტყვისა, კრებისა და კავშირისა, მოსამსახურეებმა აღვიმაღლეთ ხმა და შევუდექით მოთხოვნილების შემუშავებას. ეს მოთხოვნება ყველა მოსამსახურის შრომის ინტერესებს უნდა იცავდეს. ჩვენმა ამხანაგებმა ხელზე მოსამსახურეებმა თავიანთი მოთხოვნილება წამოაყენეს. ხოლო მზარეულების მოთხოვნილება კი შეუსაბამოთ სცნეს და ჩვენი პატრონების დამლუპველათ გამოაცხადეს. თუ ჩვენ მოვითხოვდით რვა საათის სამუშაო დღეს და შრომის ქირის მომატებას და რამოდენიმე სხვა წვრილ მუხლების გატარებას, ამითი თითქოს პატრონები სავაჭროებს დახურავენ. ჩვენ წამოვაყენეთ ჩვენი მოთხოვნილება, რაც მზარეულების სექციამ გამოიმუშავა და საჭიროთ სცნო თანხმათ კავშირის გამგეობისა ცხოვრებაში გაგვეტარებინა. მაგრამ ჩვენმა ამხანაგებმა არ მიიღეს და ანარქისტებიც გვიწოდეს. ამიტომ იძულებულნი გავხდით სრულიად მოსამსახურეთა კავშირს გამოვყოფოდით და ცალკე შევკავშირებულიყავით და ხელზე მოსამსახურეებისაგნით დამოუკიდებელი მოთხოვნილება ცხოვრებაში გაგვეტარებინა.

მართალია მზარეულების ასეთი მოთხოვნები ეწინააღმდეგება საერთო თეორიის საჩუქრით შეგროვებას. მათი ჩვენს წინააღმდეგ გამოსვლა კიდევ იმას უნდა მიეწეროს, რომ ისინი არ ატარებენ მუშის სახელს და მათ არა აინტერესებთ თვიური ჯამაგირი და რვა საათის სამუშაო დღე. მიუხედავათ წინააღმდეგობისა დღეს მზარეულებმა თავიანთი მოთხოვნილებანი განახორციელეს და არც ჩვენს პატრონებს დაუხურავთ თავიანთი სავაჭროები. მზარეულები მჭიდროთ არიან შეკავშირებულნი და მომავალში თუ ასე განაგრძეს მუშაობა თავიანთ მდგომარეობას უფრო გააუმჯობესებენ.

ქ. ფარახელი.

ძ. ყარსი. მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი. რევოლიუციამ სუყველა დარგში მომუშავენი დარაზმა, ორგანიზაციულ მუშაობის ფერხულში ჩააბა. ძალა რომ ერთობაშია, ეს დღეს სუყველამ შეიგნო. საზოგადოთ მუშის მდგომარეობა აუტანელი იყო, მაგრამ ხელზე მოსამსახურეები მით განირჩეოდენ ამ უკანასკნელებისაგან, რომ ისინი საერთო გამოსვლას ვერ ახერხებდნენ თავიანთი ექსპლოატატორების წინააღმდეგ. ეხლა კი სურათი საგრძნობლათ შეიცვალა, დაარსდა პრ. კავშირები.

ქ. ყარსშიაც მოსამსახურეებმა ნათლათ შეიგნეს პრ. კავშირის დაარსების მიუცილებლობა და სისრულეშიაც მოიყვანეს თავიანთი წადილი. ამ კავშირის გარშემო თავი მოიყარეს დღეს ყველა მოსამსახურეებმა. ყველა მოთხოვნები, რომლებიც წარუდგინა კავშირმა სასადილოებისა და რესტორანების მწარმოებელთ დაკმაყოფილებული იქმნა. მხოლოდ 8 ს. სამუშაო დღის განხორციელების საკითხმა დიდი განგაში ასტეხა მეპატრონეთა ბანაკში. მათ არ მოეწონათ დროის განსაზღვრა და ცდილობდნენ 8 ს. სამ. დღის ლოზუნგის გამათავლებას იმ მოსაზრებით, რომ მუშახელი დღეს ომის გამო ძლიერ შემცირებულია, ამიტომ მორიგეობა შეუძლებელია არსებულ პირობებშიო. მართლაც ამ განცხადებამ პირველათ იმოქმედა კავშირზე, ანგარიში გაუწია „არსებულ პირობებს" და შესაძლებლათ სცნო დამატებითი საათების შემოღება. ამისათვის კი მშრომელს უნდა მიეღო პროცენტები პროპორციონალურათ იმისა, თუ რამდენს იღებდა ან აკეთებდა ის თვიურათ. რამოდენიმე ხნით ორივე მხარე დაკმაყოფილდა ასეთმა გადაწყვეტილებამ, მაგრამ 10 დღის შემდეგ გამოირკვა, რომ მუშაობა ისევ 14—17 საათი სწარმოებს, რომ ხაზეინები სარგებლობენ ამ ზედმეტ საათებით მუშაობის ნებართვით და და მოსამსახურეებს არა ნორმალურ პირობებში აყენებენ. „ჩვენ ადამიანური ცხოვრება გვინდა, არ გვსურს ზედმეტი გასამრჯელო, მოვითხოვთ 8 ს. სამუშაო დღეს"!—აი დაახლოებით ასეთი სიტყვებით მიმართა მოსამსახურეებმა კავშირს. კავშირმა ეს აცნობა მუშ. და სალდ. დეპ. საბჭოს, რომ მას მხარი დაეჭირა. ამის გამო მ. და ს. დეპ. საბჭომ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მ. და ს. დეპ. საბჭო აღიარებს 8 ს. სამ. დღეს, სადაც ეს შესაძლებელია, ამიტომ თანხმობით ვეგებებით მოსამსახურეთა კავშირის სურვილს და მის განხორციელებისათვისაც ზომებს მივიღებთ".

19 ივნისს გაიმართა საზოგადო კრება, სადაც შემოაღნიშნულ რეზოლიუციით წარუდგა მ. და ს. დეპ. თავმჯდომარე კრებას. მუშ. და სალდ. დეპ. საბჭ. წევრმა ამხ. სმოლენსკიმ აუხსნა კრებას, თუ რატომაა საჭირო მუშებისათვის 8 ს. სამუშაო დღე. კავშირმა დაადგინა გაატაროს ცხოვრებაში 8 ს. სამუშაო დღე.

ილ—ონ თოფურია.

სიღნაღის არჩევნები.

კვირას, 25 ივნისს, სიღნაღის საქალაქო თვითმართველობის არჩევნები მოხდა. არჩევნებში სამი პარტია იღებდა მონაწილეობას: სოციალ დემოკრატები, დაშნაკელები და ნაციონალ-დემოკრატები. საარჩევნო მიტინგებზე მხოლოდ სოციალ დემოკრატები გამოდიოდენ და აცნობდენ მუნიციპალურ პლატფორმას. დაშნაკელები და ნაციონალ-დემოკრატები ფარულად მოქმედებდნენ. ფედერალისტებმა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს, რადგანაც ძალას არ წარმოადგენდნენ და იცოდნენ, რომ ვერცერთს ხმოსანს ვერ გაიყვანდენ. ნეტავ რას იტყვის ეხლა „სახალხო ფურცელი", რომელიც გაკივის „სოციალ-დემოკრატებს პროვინციებიდან ერეკებიან და ფედერალისტები ეძლიერდებიანო". მათი სიძლიერე სიღნაღის არჩევნებმა აშკარათ დაგვანახვა.

კონვერტების დათვლის შემდეგ აღმოჩნდა: სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 2245 ხმა, გავიდა 18 ხმოსანი. ნაციონალ დემოკრატებმა მიიღეს 217 ხმა, გავიდა 2 ხმოსანი, დაშნაკელების გავიდა 10 ხმოსანი, მიიღეს ხმა 1229. ამგვარათ 30 ხმოსანში არის 18 სოციალ-დემოკრატი, 2 ნაციონალ-დემოკრატი და 10 დაშნაკელების კანდიდატი.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოპირდაპირენი ათასგვარ ჭორს ავრცელებდენ სოც.-დემოკრატების დასამარცხებლათ, მაგრამ ვერაფერს გახდენ.

მოხული.

გაზეთის სასარგებლოთ.

გავრა.. გიგზავნით 6 მან. გაზეთ „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლად მე 32 მუშათა ბატალიონის მეხუთე როტის ჯარისკაცები.

გრ. მ. ლლონტი და ვ. ფ. ალუხაზავა.

—

თილო ძიძიგურმა და ძმებმა გიორგი და იოსებ ფარულავებმა გაზეთი „ერთობა" გამოწერეს ერთი წლით სოფ. ზემო-ხუნწის კოოპერატივს.

სტამბის სასარგებლოთ.

ასტრახანში მცხოვრებ ქართველთა შორის შეგროვილი ორასი მანეთი რ. ს. დ. მ. პ. სტამბის ფონდისათვის. ეს ფული მივიღეთ ნ. ჩხიკვაძისაგან.

წერილები რედაქციის მიმართ.

მადლობას უცხადებთ რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე ჯგუფს, რომელმაც აღმოგვიჩინა მატერიალური დახმარება რაჭა-ლეჩხუმის გლეხთა სიეზდის დელეგატებს.

ამხანაგების მინდობილობით: ი. ბურჯალიანი და მალაქია ქორჩლაძე.

მადლობას უცხადებთ მოქალაქე ქ-ნ ბაბილინა გიორგაძისას, რომელმაც ნაცნობ მეგობრებში შეაგროვა 13 მ. 50 კ. სამკითხველოსთვის და აგრეთვე მადლობა იმათაც, რომლებმაც გამოიღეს თავისი წვლილი. კახური სამკითხველოს გამგეობის მონდობილობით მდივ. ხევახტი ტ. დოლიძე.

მადლობას უცხადებთ მოქალაქე სამუილ ჩხიკვიშვილს, რომელმაც შემოსწირა ქვედა დვაბზუის უფასო წიგნთ საცავ სამკითხველოს ოცი მანეთი, მისი ძმის ანტონ ჩხიკვიშვილის მოსაგონებლათ. და ნიკოლოზ გოთუას, რომელმაც შემოსწირა ამავე სამკითხველოს ხუთი მანეთი. სამკითხველოს გამგეობის წევრთაგანი კახინე დოლიძე.

აბაშის მომხმარ. საზოგ. „განახლების" სარევიზიო კომისიის საყურადღებოთ. 1) 14 მაისს არჩეულმა გამგეობის წევრებმა უმთავრესად ერთმანერთ შორის გაინაწილეს ჯამაგირიანი ადგილები კოოპერატივში, წესდების ერთ-ერთ მუხლის ძალით ამის უფლება მათ არ აქვთ.

2) ახალმა გამგეობამ გაუფრთხილებლად და სრულიად უდანაშაულოთ „მადლობის გამოცხადების" შემდეგ ქუჩაში გაყარა კოოპერატივის ძველი მოსამსახურენი (ნ. სტურუა და სხ.), და მათ მაგიერ სხვები დაიქირავა და მით ხელი შეუწყო ბურჟუაზიულ ელემენტებს მუშის ინტერესების გათელვაში.

3) კრების მიერ ხარჯთ-აღრიცხვის დაუმტკიცებლათ და ნების დაურთველად გამგეობამ მოსამსახურეთა შტატი გაადიდა და ჯამაგირებიც დაუნიშნა.

4) გამგეობა კოოპერატივის საქმეებზე ხშირად გზავნის 2—3 წევრს, რაც იწვევს ზედმეტ ხარჯებს და რაც საქმის აუცილებლობით არაა გამოწვეული.

მივაქცევ სარ. კომისიის ყურადღებას გამგეობის ასეთი შეცდომებზე და მოვითხოვ მისგან შესაფერ ზომების მიღებას ამის გასასწორებლათ. განსაკუთრებით მოვითხოვ დათხოვილ მოსამსახურეებს დაუბრუნდეს თავისი ადგილები.

მშრომელი.

მადლობას უცხადებთ მოქალაქე ვ. ნ. ახობაძეს, რომელმაც ჩვენ სამკითხველოს გამგეობას გადასცა 107 მანეთი.

აგრეთვე მადლობა ყველა იმათ, ვინც თავიანთი წვლილი გაიღეს სამკითხველოს სასარგებლოთ. განსაკუთრებით მადლობას უძღვნით ბიქტორ პ. წიქელაძეს, რომელმაც გამგეობის მოწოდება სამკითხველოს უწყო მდგომარეობის შესახებ არ დასტოვა უყურადღებოთ და თავის ამხანაგ-ნაცნობებში შეაგროვა და მოგვაწოდა 78 მანეთი. კულაშის წიგნთ საცავ-სამკითხველოს თავმჯდომარე მღვდ. მელიტონ კუხალაშვილი.

მადლობას უცხადებთ ქალ. შუშანიკ ჩხიკვაძეს და შურა თავბერიძეს, რომლებმაც თავიანთ ნაცნობ-მეგობრებში შეაგროვეს ჯვარცმის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოსთვის 30 მან. 90 კ. იმ პირთაც, რომლებმაც კეთილი ინებეს და გაიღეს თავიანთი წვლილი.

სამკითხველოს გამგეობის წევრი ნევოლინა ბაიბაძე.

ვანო ჩიტაიშვილი საზიზღარ ცილსა გვწამებს გაზ. „ხალხის თავისუფლების" № 20-ში თფილისის პარიკმახერ-დალაქთა პროფესიონალური კავშირის გამგეობას.

ის ცდილობს უჩვენოს მკითხველ საზოგადოებას ჩვენი „შემცდარი (?) ნაბიჯები" და ახსავს ტყუილებს. ამითი უნდა სახელი გაუტეხოს ჩვენს გამგეობას, როგორც ჩვენს მოხელეთა შორის, ისე მკითხველ საზოგადოებაში.

ამბობს: თითქოს ჩვენ სრულიათ აგვეკრძალოს თეატრში მუშაობა. რასაკვირველია ამის მზგავსი არაფერი დაგვიდგენია.

აგრეთვე სტყუის ბ. ჩიტაიშვილი, როდესაც ამბობს თითქოს ჩვენ აგვეკრძალოს ქალების დავარცხნა-ამის გარეთ ა აუცილებელ საჭიროების დროს. რაც შეეხება „ვიზიტებზე" ქურდულათ სიარულს—ეს უკვე აღიარებულია რამოდენჯერმე როგორც აწრევ დამრევი ჩვენი დადგენილებისა და ბ. ჩიტაიშვილს თუ დასჭირდა ამის მოგონება მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ შეიტანოს დემორალიზაცია და გათიშვა მთელ ამქარში.

იღებს რა მხედველობაში ყველა ამას ხსენებული პროფ. კავშირის გამგეობა და ღებულობს რა ბ. ჩიტაიშვილის წარსულს, რომელიც გამოიხატება: პროვოკაციაში, ცილის წამებაში, არა პირობაში და ათას გვარ ინტრიგანობაში, უცხადებს მას თავის გულის წყრომას.

აგრეთვე გამგეობა [illegible] გამოეცხადოს ორი კვირით ბოიკოტი ჩიტაიშვილს და აეკრძალოს მას ამ ხნის განმავლობაში მუშაობა. მოუწოდებთ ყველა ამხანაგებს მოქალაქეთ შესწყვიტონ ყოველივე დამოკიდებულება ბ. ჩიტაიშვილთან დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა.

თბილისის პარიკმახერ-დალაქთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა.

„ერთობის" მე 81-ე №-ში მოთავსებულია წერილი ვ. მღებრიშვილისა თფილისის სახერხ ქარხნების მუშების ორგანიზაციის სახელით. დიდი სიამოვნებით გავყვები სამედ. სამართალში დ კიდევაც დაუმტკიცებ გით—გ სოხ—ძეს რასაც ვამბობ, ხოლო აქვე უნდა განვაცხადო, რომ ორგანიზაციას მე არ შევხებივარ. ერთი პირობით მოვყვები სამართალში მტყუანმა მხარემ „ერთობის" რედაქციის სასარგებლოთ უნდა გადაიხადოს 15 მან. 1 მანეთი კი ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ფონდისათვის, ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ იროდი შანიძეს და კოსტა ბუშაშვილს.

ტერეზ. სშვილი.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

სოფ. მესხეთის მცხოვრები ამოსი ფხაკაძე მსახურებდა კავკასიის მომქმედ ჯარში მე-1 მსროლელთა პოლკში მე-11 როტაში. თუ ვინმემ რამე იცის გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: სამტრედია, გზის მოხელეს ნიკოლეიშვილს.

— შალვა ანტონის ძე ღლონტი, მსახურებდა მე-153 ბაქოს პოლკში, მე-4 როტაში, მე-2 ზვოდში. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობოთ შემდეგის მისამართით: кавк. Армія управленіе 39-й парковаго артилерійскаго дивизіона, Андрей Тавдишвили.

— პლატონ კაკუბერია მსახურებდა მე-280 სათადარიგო ქვეითა პოლკში. ვსთხოვ ყველას თუ ვინმემ იცის მის შესახებ რამე, მაცნობოს: М. Абедаты, кут. губ. сенак. уѣзда Уту Гварамія.

— ჯარისკაცი იოსებ ალექსანდრეს ძე ჩოლოხავა მსახურებდა მომქმედ ჯარში, მე-7 მესაზღვრო ზამურის ქვეითა პოლკში მე 15 როტაში მე 4 ზვოდში. ვთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის გვაცნობოს შემდეგი მისამართით: гор. Батумъ, Петроградская ул. № 46 Кас. Чиличава.

— ჯარისკაცი ზაქარია დარისპანის ძე კობაშვილი მსახურებდა მე-27 კავ. ისტრ. ბატ. 1 როტაში. შორაპნის მაზრა სოფ. რეთის მცხოვრები. გარდაიცვალა 29 მაისს მე-15 ლაზარეთში, ქ. ურმიაში ყვავილით დაასაფლავეს იქვე.

ჯარისკაცი კოწია პ. ქუნთელია.

ჩვენი ფოსტა.

მწვანე ყვავილის სამკითხველოს. ვინც გაზეთს პირდაპირ რედაქციიდან იწერს, იმას გაზეთი მხოლოდ ფოსტით ეგზავნებათ.

ელიზ ციტპოლი. ვარლამ შენგელიას-თქვენგან ხელის მოსაწერი ფული არ მიგვიღია.

ცემი. ვალ. შალიკაშვილს, გაზეთი იგზავნება თქვენ მიერ ნაჩვენებ ადრესზე: სად. მი ვალ. შალიკაშვილს 1 ივნისიდან.

ფერშალ გიორგი ხალუკვაძეს. თქვენი გამოგზავნილი 18 მ. 45 კ. გადაეცა სადღ. კომ. ბიუროს, რომელმაც გადმოგიგზავნათ სხვა და სხვა ბროშიურები.

ერმილე წიტაიშვილს. სიას ვერ ვბეჭდავთ.

რედ.-გამომცემელი მღ. მ. ხოჭოლაძ

გამოვიდა საკოოპერაციო ბიბლიოთეკის №
„50 წლიწადი სამომხმარებლო კოოპერაციისა რუსეთში",
მ. ლ. ხეისინისა, თარგმანი ი. გ—აისა.
შეიცავს 84 გვ. იყიდება 2 აბაზათ. კოოპერატივებს ც წიგნის მაღაზიებს ეთმობა 20—25 დაკლებით მხოლოდ არა ნაკლებ 25 ცალისა
მისამართი: Кутаисъ. Редакція журна „Коoперація".
„აქედანვე შეიძლება კოოპერატივებისა და მათი კავშირების დასაარსებლათ საჭირო სანიმუშო წესდებათა გამოწერა. 10—7

1-ლი თფ. ინტერნაციონალური შრომის არტელი
1) იღებს ყოველგვარ სამუშაოს: სახარატო-მექანიკურ სასლესრო-საწყალსადენო, სპილენძისა, ცინკისა და თუნუქის სამუშევრებს.
2) იღებს თავის-თავზე მოწყობას შენობებისა, სადგურებისა და სადეზინფექციო კამერებისა. აკეთებს სხვა და სხვა სისტემის წყლის სადგურ ქვაბებს და ავტომობილის რადიატორებს და ფარნებს, აგრეთვე აწვდის მსურველთ სპეციალისტ ხელოსნებს დღიურათ, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ.
მისამართი: გოლოვინის ქუჩის ბოლოში, ფიდოსიევის ქუჩა № 1. 6—5

ქ. თფილისში, ოლღის ქ. № 6, ნ.-ბაზეთაძის კანტორა და წიგნის მაღაზია
„განათლება"-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გამოიცემიან [illegible] გამოცემის წლის.
[illegible] „ერთობა", „ბორბა", „კავკ. რაბოჩი", „ეშმაკის მათრახი", [illegible], „სახალხო [illegible]", „შაიქარი", და ყველა ახლად გამოსული წიგნები.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.

სწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაბაევის შესახვევი № 1.